ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 11 დეკემბერი, 2018 №293 (7838) ფასი: 60 თეთრი

„თორნიკე რიჟვაძე არის პოლიტიკური გვამი“

გვ.4

ოპოზიცია აჭარის მთავრობის მეთაურის მუქარას პასუხობს

11 დეკემბრიდან

„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი A4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ზურაბიშვილი შეეცდება, ივანიშვილისგან თავი დაიძვრინოს“

გვ.2

„ამ პროცესში მისი პარტნიორები კობახიძე და კალაძე იქნებიან“

გვ.4

„ჩუგოშვილს შეიძლება კობახიძის პოსტი მოუნდეს“

ხათუნა ლაგაზიძე: „დღეს ივანიშვილსა და „ოცნებას“ შორის ტოლობას ვერ დავსვამთ, შეიძლება ეს ივანიშვილისთვის ბარიერად იქცეს“

თამარ ჩხეიძე: „მთავრობაში ცვლილებებიც რომ მოხდეს, ამით არაფერი შეიცვლება“

გვ.3

„ია კერზაია თავის პატიოსნებას შეეწირა“

ემზარ ჯგერენაია: „ასე ერთბაშად არ უნდა მომხდარიყო პურის გაძვირება“

გვ.6

გვ.5

გიორგი გაჩეჩილაძე: „საკონსტიტუციო სასამართლო ყველა პრობლემის შემქმნელ უმაღლეს სასამართლო ხელისუფლებად იქცა“

ნუკრი ქანთარია: „ჩვენი გუნდიდან გაშვება ვისაც ეწყინება, ცივი წყალი დალიოს“

გვ.3

არის თუ არა „ოცნება“ ცვლილებებისთვის მზად

სამართალი გვ.7

მარტვილში მესაფლავეებმა 1 ქოთანი ოქროს მონეტები იპოვეს და ლომბარდში 11 ათასად ჩააბარეს

მთელი კოლექცია 1 მილიონადაა შეფასებული

თამარ გამრეკელაშვილის მკვლელობისთვის ვეფხია ბაქრაძეს უვადო პატიმრობა მოეთხოვა

აფეთქება ქუთაისში — დაშავდა 75 წლის მოხუცი

ISSN 1987-9385

6 ბოკერია პურის ფასზე: „რის გამოძიებას ავალებენ, არ იციან, ლარის კურსს რა დაემართა?“

3 2018 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 48%-ით შემცირდა

5 მეპურეები პურის ფასის ზრდასთან დაკავშირებით მთავრობის ჩართულობას ითხოვენ

6 „წარმოუდგენელია, ოქროს საბადო გქონდეს და მისი სწორად გამოყენება არ იცოდე“

„ზურაბიშვილი შეეცდება, ივანიშვილისგან თავი დაიძვრინოს“

„ამ პროცესში მისი პარტნიორები კობახიძე და კალაძე იქნებიან“

შორენა მარსაგიშვილი

გოჩა მირცხულავა: „ოცნებას“, შესაძლოა, ვადამდელი არჩევნები სანატრელი გაუხდეს“

რა შეცდომებს უშვებს ოპოზიცია, რა ელოდება „ქართულ ოცნებას“, გამოჩნდება თუ არა ქართველი პაშინიანი, რა პრობლემებს შეუქმნის სახელმწიფოს ზურაბიშვილი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

გოჩა მირცხულავა:

– დღეს ყველა 16 დეკემბერს ელოდება. ამ დღეს არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია უნდა გაიმართოს. ამ დღეს ოპოზიციამ აქცია დააანონსა, ხელისუფლება კი თელავში განერიდა პროცესებს.

ხელისუფლება თელავში განრიდებით ამტკიცებს, რომ ის შეშინებულია. სწორედ შიშის დემონსტრირებაა ის უტიფარი განცხადებები, რასაც ოპოზიციის შეთავაზებულ წინადადებებზე ვისმენთ.

ოპოზიცია საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანას და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს. საუბარია სხვადასხვა რეფორმების გატარების აუცილებლობაზე. „ოცნება“ კრიზისის არსებობას არ აღიარებს და ამით ამტკიცებს, რომ გაურკვევლობაში არიან. მათ მართლაც არ იციან, როგორ უნდა მართონ კრიზისი.

ქუჩაში დღეს ქვებს არავინ არ ისვრის, ხელისუფლებისთვის ამ მშვიდობიანი პროცესის მართვა ძალიან რთული აღმოჩნდა. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები თავიანთ ანგარიშებში ცალსახად გამოთქვამენ გულისწყრომას არჩევნებთან დაკავშირებით. ისინი საუბრობენ მოსყიდვის ფაქტებზე. გმობენ ოპონირების ენას. პრეტენზიები აქვთ საარჩევნო კოდექსის მიმართაც. აქედან გამომდინარე, საარჩევნო კოდექსის გაკეთილშობილება ხელისუფლების ინტერესებში უნდა შედიოდეს. ამ შემთხვევაში ოპოზიციის მოთხოვნა საერთაშორისო თანამეგობრობის რეკომენდაციებს საერთოდ არ სცდება.

ხელისუფლებას განსაკუთრებულად ეშინია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების. ქართული კანონმდებლობის თანახმად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ყველაზე ადრე შეიძლება მომავალი წლის სექტემბერში ჩატარდეს. ყველაზე გვიან კი – 2020 წლის შემოდგომაზე.

– ვადამდელი არჩევნები ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს?

– ჩემი სუბიექტური აზრი თუ გაინტერესებთ, როგორმე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არჩევნები 2020 წელს ჩატარდეს. თუმცა ხელისუფლება თუ ასე გაჯიქდება და არგუმენტებით არ ახსნის, რატომ უნდა ჩატარდეს არჩევნები 2020 წელს, მას შესაძლოა ვადამდელი არჩევნები სანატრელი გაუხდეს.

ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან ერთმანეთის გვერდით დასვა ევროპული ღირებულებების პარტიები და ნინო ბურჯანაძე, რომლის პარტიაც პრორუსულ ძალად ითვლება. ხომ უნდა მოახერხო, რომ პოლიტიკურად ერთმანეთის დაუძინებელი მტრები ერთად დასვა მოლაპარაკების მაგიდაზე და ერთ სტრატეგიაზე შეათანხმო ისინი.

საპრეზიდენტო არჩევნებიდან 10 დღეა გასული და მთელი ამ ხნის მანძილზე „ოცნებამ“ ისიც კი ვერ მოახერხა, რომ მომავალი წლის გასაბრწყინებელი გეგმიდან საზოგადოებისთვის რამე შეეთავაზებინა. ბატონმა ივანიშვილმა არჩევნებიდან ერთი წლის თავზე რომ უნდა გაგვაბრწყინოს, იმ გეგმაზე მაქვს საუბარი.

როდესაც ხელისუფლებამ არ იცის, რა ნაბიჯები უნდა გადადგას, ან გვიმალავს ამას, ან რაღაც თარიღებს ელოდება, ეს მხოლოდ მათ უმწეობაზე მეტყველებს. გარეგნულად მედიდურობას ისევ ინარჩუნებენ, რომელიც შემდეგ უტიფრობაში გადასდით, მაგრამ ძალიან ცუდ დღეში არიან, რაც პრობლემების გაღრმავებას გამოიწვევს.

– ზემოთ თქვით, რომ ხელისუფლებას შეესაძლოა ვადამდელი არჩევნები სანატრელი გაუხდეს. რა შეიძლება მოხდეს?

– საზოგადოების ერთმა ნაწილმა „ოცნების“ მხარდაჭერილ კანდიდატს იმ იმედით მისცა ხმა, რომ ერთ წელში ქვეყანა გაბრწყინდებოდა. მეორე ნაწილმა ხმა არავის მისცა, მაგრამ ჩასაფრებული ელოდება ამ ერთ წელს. მესმის, რომ ასე უცბად სოციალური ვითარება არ გაუმჯობესდება, მაგრამ ამის ტენდენციებიც კი არ ჩანს.

სრულებითაც არ გამიკვირდება, ჩვენმა საზოგადოებამ გამოიყენოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და პოზიციაც და ოპოზიციაც ისეთ დღეში ჩააგდოს, რომ მათ პოლიტიკაში ყოფნის სურვილი საერთოდ გაუქრეს.

სხვა მომენტია, ვინ ისარგებლებს ამ ვითარებით, მაგრამ „ოცნებამ“ თუ ასე გააგრძელა, ბუნებრივად გამოიწვევს ქვეყანაში კატაკლიზმებს, როდესაც ხალხი თავად შეძლებს პოლიტიკური ლიდერების არჩევას.

– „ოცნება“ ვერ აცნობიერებს, რომ უფსკრულისკენ მიექანება?

– ისინი ნებისმიერი პოლიტიკური კრიზისისას ალოგიკურად იქცევიან. გუნდი ვერ ხვდება, რომ პოლიტიკური კრიზისის აღიარება, პირველ რიგში, მისთვის არის სასარგებლო.

ბატონი ივანიშვილი პოლიტიკაში ისევ ბიზნესის წესით გვეთამაშება და უყურებს, როგორ მივალთ უკიდურეს წერტილამდე. უკიდურესი წერტილის შემდგომ რევოლუციური სცენარით ვითარდება უკვე მოვლენები.

კარგი იქნებოდა, თუ ივანიშვილი აღიარებდა პოლიტიკური კრიზისის არსებობას. ეს მას ძალიან კარგ სასტარტო პირობებს შეუქმნიდა ერთ წელში დაპირებული რეფორმების გატარებაში.

ხელისუფლებას ისე ეშინია ამ კრიზისის აღიარების, რომ მზად არის, პოლიტიკურ ჭაობში ჩაიძიროს. პროცესი დაწყებულია და ერთ დღესაც შეიძლება სუნთქვა გადაეკეტოთ.

– გაერთიანებულ ოპოზიციაზე რას გვეტყვით? თითქოს გაჩუმდნენ და შეარბილეს პროტესტი.

– მე ვფიქრობ, რომ ოპოზიცია ჩუმად არ არის. მათ თქვეს, რომ ისინი 16 დეკემბრისთვის ემზადებიან. რანდენადაც ჩემთვის ცნობილია, ისინი ახლა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ მისიებთან მუშაობენ.

მათი მოთხოვნა უნისონში ჯდება შემფასებელი მისიების დასკვნებთან. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური თამაშის წესები ოპოზიციასთან დიალოგს არ გამორიცხავს. როცა პოლიტიკური კრიზისია და ხელისუფლება დიალოგზე უარს ამბობს, ამით ოპოზიციას ფორას აძლევს.

თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა ივანიშვილმა თქვა, რომ მას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ „ოცნება“ პროდასავლური ორიენტაციისაა. სახლის აშენებას, როგორც წესი, დიდი დრო სჭირდება, მაგრამ მისი აფეთქება ძალიან ადვილია. ეს ფორმულა პოლიტიკაშიც მოქმედებს. და ის დიდი რეპუტაცია, რომელზეც ბატონი ივანიშვილი აპელირებდა, შესაძლოა, „ქართულმა ოცნებამ“ თავისი მიდგომებით წყალს გაატანოს.

ამ შემთხვევაში „ოცნების“ ბედი ნაკლებად მაღელვებს. მე ის მადარდებს, რომ ამით ქვეყანაც დაზიანდება. შეხედეთ ჩვენ გარშემო მიმდინარე პროცესებს. 9 დეკემბერს სომხეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები, ჩვენი არჩევნებისგან განსხვავებით, ბევრად უფრო პოზიტიურია.

ამ უგუნურობის გამო „ოცნება“ თავადაც ჭაობში იძირება და ქვეყანასაც იქით მიათრევს. ერთი რამე კარგად დაიმახსოვრონ, ხალხი მათ ჭაობში არ ჩაყვება. ჭაობში მათ ისინიც კი არ ჩაყვებიან, ვისაც „ოცნება“ გულმხურვალე მხარდამჭერებად თვლის.

ოპოზიციის მოთხოვნებში არ იყო გაჟღერებული, რომ საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს ხელახლა. რაკი ეს მოთხოვნა გაჟღერებული არ იქნა, ოპოზიციამ საპრეზიდენტო არჩევნების ირიბად აღიარება მოახდინა. ამასთან, თქვეს, რომ მათი პრეზიდენტობის კანდიდატი და ვიღაცები არ აღიარებენ ზურაბიშვილის გამარჯვებას.

საერთაშორისო დიპლომატიისთვის ეს განცხადება ცოტა დამაბნეველია. ოპოზიციას ჰქონდა იმის შანსი, რომ მუდმივი ტორპედირება მოეხდინა ამ თემაზე და ირიბად მაინც ეთქვათ, არჩევნების შედეგებს არ ვაღიარებთო. ეს ერთგვარი ტაქტიკური შეცდომა იყო, რომლის გამოსწორებაც მათ ძალიან გაუჭირდებათ.

აქ არის ასეთი გამოსავალი – ოპოზიციამ უნდა თქვას, რომ ქვეყანას ჰყავს დაბალი ლეგიტიმაციის პრეზიდენტი, უნდა ითქვას ისიც, თუ როგორი დარღვევით ჩატარდა არჩევნები, მაგრამ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი საპარლამენტო არჩევნებისთვის იწყებენ ბრძოლას. სხვა მომენტია, ეს არჩევნები ვადიანი იქნება თუ ვადამდელი.

ხელისუფლებას განსაკუთრებულად ეშინია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების. ქართული კანონმდებლობის თანახმად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ყველაზე ადრე შეიძლება მომავალი წლის სექტემბერში ჩატარდეს. ყველაზე გვიან კი – 2020 წლის შემოდგომაზე.

მერწმუნეთ, ამით გაერთიანებული ოპოზიცია არ დაკარგავს იმ 900.000 ადამიანს, ვინც მათ კანდიდატს მხარი დაუჭირა. გაერთიანებული ოპოზიციის ამომრჩეველთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება და ეს ახალი პოლიტიკური კლასის შექმნის საფუძველი გახდება.

მომავალ პარლამენტს შესაძლოა იმის შანსიც კი მიეცეს, რომ ქალბატონ ზურაბიშვილს იმპიჩმენტი მოუწყოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ზურაბიშვილი ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯს გადადგამს.

სრულებითაც არ გამიკვირდება, საქართველო რეგიონში გახდეს პირველი ქვეყანა, რომელიც შეიძლება პრეზიდენტის იმპიჩმენტამდე მივიდეს.

– ზემოთ სომხეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ახსენეთ. ქართველი პაშინიანის გამოჩენა რამდენად რეალურია?

– ქართველი პაშინიანი შესაძლოა სულაც არ იყოს გაერთიანებული ოპოზიციის წევრი. ქართველი პაშინიანი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც პოლიტიკური მოცემულობა შექმნის.

ქართველ პაშინიანს „ქართული ოცნება“ შობს იმ უგუნური ნაბიჯებით, რომლებსაც ის დღეს დგამს.

– ზემოთ თქვენ აღნიშნეთ, რომ ოპოზიციამ შეცდომა დაუშვა, როცა საპრეზიდენტო არჩევნები ირიბად აღიარა. რატომ თვლით ამას შეცდომად?

– ოპოზიციამ ვერ შეძლო დოკუმენტალურად დაემტკიცებინა, რომ არჩევნები გაყალბდა. პროცედურული დარღვევები არის სხვა, ძალადობა არის სხვა. სასამართლოს არჩევნების გასაუქმებლად სჭირდება დოკუმენტური მტკიცებულება, რომ გააუქმოს ეს არჩევნები. 2003 წელს ნაციონალურმა მოძრაობამ და სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა ოქმებით შეძლეს იმის დამტკიცება რომ კონკრეტულ უბნებზე არჩევნები იყო გაყალბებული.

„ქართული ოცნება“ შეცდომას უშვებს, როცა თელავში ატარებს ინაუგურაციას. პირადად მე ინაუგურაციას საქართველოს პარლამენტში დავნიშნავდი, რასაც ოპოზიცია ხელს არ შეუშლიდა. ისინი ქვების სროლას არ აპირებენ. აქცია არაფერს არ ნიშნავს.

გაიხსენეთ, რა ხდებოდა ტრამპის ინაუგურაციაზე. აშშ-ის სხვადასხვა ქალაქებში ტრამპის წინააღმდეგ მიდიოდა აქციები, მაგრამ ინაუგურაცია არავის ჩაუშლია. ასევე იქნებოდა თბილისშიც.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პარლამენტის შენობის წინ დგას კარვები. იქ შვილმოკლული მამები არიან და სამართლიანობას ითხოვენ. იმ ადამიანისთვის, რომელიც დამოუკიდებელ პრეზიდენტს თამაშობს, ეს კარვები იქნებოდა ძალიან დიდი ფორა.

მივიდოდი იმ მამებთან, ჩამოვართმევდი ხელს, ვეტყოდი სამძიმარს, დავპირდებოდი, რომ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, დავეხმარებოდი სამართლის პოვნაში. მოვკიდებდი ორივეს ხელს და მათთან ერთად შევიდოდი პარლამენტის ეზოში, სადაც ინაუგურაცია გაიმართებოდა.

ამით მნიშვნელოვან მესიჯს გავუგზავნიდი მთავრობას და საგამოძიებო ორგანოებსაც იმასთან დაკავშირებით, რომ მე, სახალხო პრეზიდენტი, უფლებას არ მოგცემთ, რომ ქვეყანაში ვინმეს უფლება ირღვეოდეს.

ეს იქნებოდა შერიგებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი, ამის ნაცვლად ხელისუფლებამ გადაწყვიტა, თელავში კორპორატიული ფართი ჩაატაროს, რომელსაც ხალხი არ დაესწრება.

ეს კიდევ ერთხელ დაარწმუნებს საზოგადოებას იმაში, რომ ქალბატონი ზურაბიშვილი არანაირი სახალხო პრეზიდენტი არაა და ის „ოცნების“ შემადგენელი ნაწილია.

– ზურაბიშვილმა ერთი საინტერესო განცხადება გააკეთა. თქვა, ივანიშვილმა მითხრა, შეგიძლია, დამოუკიდებელი იყოო.

– ქალბატონი ზურაბიშვილი თუ ამაზე საუბარს დემოკრატიის ნორმად თვლის, ეს არის ძალიან ცუდი. რას ჰქვია მითხრა, ვერ ხვდება, რომ ამით ცალკე ივანიშვილის რეპუტაციას მიაყენა ზიანი და ცალკე საკუთარს? თუ ამას ვერ ხვდება, მაშინ კარგად ყოფილა საქმე.

– მისი განცხადებების წყალობით საინტერესო ცხოვრება გველოდება.

– აქ საკითხავი ისაა, რამდენად შეძლებს ის ქვეყნის დაზიანებას, თორემ გახალისება სხვა რაღაცაა.

– როგორი დამოკიდებულება ექნება მას „ოცნების“ ჩინოსნებთან? პირველი ტურის მერე კახა კალაძემ განაცხადა, რომ ზურაბიშვილის კანდიდატურის დასახელება შეცდომა იყო.

– ზურაბიშვილი ივანიშვილს პრეზიდენტად სწორედ კობახიძე-კალაძის ფრთამ შეტენა. თავისი საპრეზიდენტო ამბიციები ქალბატონმა სალომემ პირველად კობახიძეს გაუმხილა.

იმ დროს პრეზიდენტობა კობახიძესაც უნდოდა და კალაძესაც. როცა დაინახეს, რომ მათი დასახელება არ მოხდებოდა, მიიღეს გადაწყვეტილება – ივანიშვილს ზურაბიშვილის კანდიდატურა წარუდგინეს. ამ შემთხვევაში კალაძის ის განცხადება თვითგადარჩენის ინსტინქტი იყო.

ზურაბიშვილი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ივანიშვილისგან თავი დაიძვრინოს. ამ პროცესში ის პოლიტიკურ პარტნიორად კობახიძე-კალაძეს გამოიყენებს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თამარ ჩხეიძე: „მთავრობაში ცვლილებებიც რომ მოხდეს, ამით არაფერი შეიცვლება“

„ია კერზაია თავის პატიოსნებას შეეწირა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს **თამარ ჩხეიძეს.**

– ძირეული ცვლილებების დაანონსების მიუხედავად, „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ მთავრობა ახალი დამტკიცებულია და იქ ცვლილებები არ მოხდება.

– მთავრობაში ცვლილებებიც რომ მოხდეს, ამით არაფერი შეიცვლება.

– რატომ?

– საქართველოში ყველაფერს ერთი კაცი მართავს. თვითონ იგი პუტინისგან იმართება. რა მნიშვნელობა აქვს, ვის გაუშვებენ და ვის მოიყვანენ მთავრობაში. დეკორაციებისა და თოჯინების გადაადგილება ვერ გააუმჯობესებს მდგომარეობას ქვეყანაში.

– პოლიტოლოგები დღემდე სულ ამ ცვლილებებზე საუბრობდნენ.

– პირადად მე, ცვლილებებიც რომ მოხდეს, ამისაგან არანაირ შედეგს არ მოველი. საზოგადოების ნაწილს, ალბათ, რეფორმების სჯეროდა. „ოცნების“ ლიდერებმა ჩათვალეს, რომ მათთვის სატყუარა აღარ სჭირდებათ. ალბათ, არჩევნებზე სასურველი შედეგი მიიღეს და თავი დაიმშვიდეს.

– ისინი აცხადებენ, რომ ეს ხალხის არჩევანი იყო.

– ეს იყო ფალსიფიკაცია და ძალადობა. ხალხის არჩევანი არ ყოფილა. ამომრჩეველმა უარი უთხრა ხელისუფლებას და მმართველ პარტიას. მინდა ვისარგებლო ამ ინტერვიუთი, პატივისცემა გამოვხატო ზუგდიდში გარდაცვლილი სკოლის დირექტორის, ია კერზაიას მიმართ. იგი ნერვიულობის შედეგად იმის გამო დაიღუპა, რომ არჩევნების დროს ხელისუფლების უკანონო და უზნეო ბრძანება არ შეასრულა. ია კერზაია თავის პატიოსნებას და წესიერებას შეეწირა. მას ოპოზიციის მოსაზრებების დაცვა არ დაუწყია. უბრალოდ, უარი თქვა უსამართლო დავალების შესრულებაზე. ამ პატიოსანმა ადამიანმა დაიცვა პრინციპი, რომ სკოლა დეპოლიტიზირებულია. ხელისუფლებამ არჩევნებში ყველა საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი ჩართო. ვინც ამაში არ ჩაება, სამსახურიდან გაათავისუფლა. თბილისში ამის გამო ბაღების გამგეც გაათავისუფლეს. მას მოედავნენ, რომ სამზარეულოში ორი ბანანი შეიტანა. ია კერზაიას დაღუპვა შემზარავი ფაქტია. ეს რომ წინა ხელისუფლების დროს მომხდარიყო, ამაზე არნახული დავიდარაბა ატყდებოდა.

– აღნი შნეთ, რომ ხალხმა ხელისუფლებას უარი უთხრა..

– პირველ ტურშიც და მეორე ტურშიც უარი უთხრა. ის ციფრები, რომელიც დაიდო, ხალხის არჩევანი არ არის. ამ შედეგს „ქართულმა ოცნებამ“ მასშტაბური გაყალბებითა და არნახული ძალადობით მიაღწია. ისეთი სიტუაცია იყო, მიკვირს კიდეც, რომ ოპოზიციის კანდიდატმა ამდენი ხმა აიღო. ეს საპროტესტო ხმებია. საზოგადოებამ არჩევანი გააკეთა, მაგრამ, სამწუხაროდ, თავისი ხმები ვერ დაიცვა.

– ოპოზიციას აქციები ჯერ არ დაუმთავრებია.

– აქციები კიდევ იქნება, მაგრამ მუხტი ძლიერია მაშინ, როცა მოვლენა ცხელია. კარგია, თუ აქედან რაიმე გამოვა, მაგრამ ამის დიდი იმედი არა მაქვს. ძალიან მკაცრი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების, დასავლეთის სახელმწიფოების შეფასებები. მათ გვითხრეს, რომ ეს არ იყო დემოკრატიული არჩევნები. ამაზე შორს

ისინი ვერ წავლენ. უცხოელები ვერ გააკეთებენ იმას, რაც ჩვენი ხალხის გასაკეთებელია. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოება აქტიური და მოვლენებისადმი ადეკვატური არ არის. არჩევნებზე ხმის მიცემა უფრო პასიური მოქმედებაა. აქტიურ ქმედებებს ხალხი ერიდება.

– ამ შემთხვევაში ადამიანებზე, მათ აქტიურობაზე ცუდად ხომ არ იმოქმედა ექსპრეზიდენტ საკაკაშვილის დისტანციურმა განცხადებებმა, თუნდაც, დაუმორჩილებლობის შესახებ?

– არა მგონია. ჯერ ერთი, საკაკაშვილს საგანგაშო არაფერი უთქვამს. დაუმორჩილებლობისაკენ მან მოუწოდა პოლიციელებსა და სამხედროებს იმ შემთხვევაში, თუ მათ უკანონო ბრძანებებს მისცემენ. თავიდანვე ასე გავიგე ეს ნათქვამი. მოგვიანებით საკაკაშვილს დასჭირდა ამაზე განმარტებები. მეორეც, თავისთავად, დაუმორჩილებლობა პროტესტის ერთ-ერთი ფორმაა. ეს მეთოდი არ ნიშნავს კანონისა და კონსტიტუციის დარღვევას და ხელისუფლების დამხობას. დაუმორჩილებლობა მკვეთრი ფორმის პროტესტია. არ ვიცი, რატომ ვერ გაიგეს ეს გაერთიანებულ ოპოზიციაში. საკაკაშვილი იმპულსური და ემოციური ადამიანია და მისგან ეს განცხადება გასაკვირი სულ არ არის იმ ფონზე, რომელიც შეიქმნა.

– დაბოლოს, არჩეულმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა რამდენიმე განცხადება იმაზე, რომ შექმნილ ვითარებაში რუსეთთან დიალოგის შესაძლებლობას ვერ ხედავს.

– ეს, თავისთავად, სწორი და მისასალმებელი სიტყვებია. სალომე ზურაბიშვილმა ეს უცხოურ მედიასაც უთხრა. ეს განცხადებები შინაარსითა და სტილით ამოვარდნილია იმ განცხადებებიდან, რომლებსაც ის არჩევნების წინა აკეთებდა. ღმერთმა ქნას, რომ ბოლოდროინდელი განცხადებები გულწრფელი იყოს, წინანდელი კი რუსეთის მოსატყუებლად ჰქონდეს გაკეთებული. შესაძლოა, მან ბოლო განცხადებები დასავლეთისთვის გააკეთა, ან იმიტომ, რომ საქართველოში აქციები კიდევ იგეგმება. მინდა მჯეროდეს, რომ ეს სწორი განცხადებები გათვლილია შორეულ პერსპექტივაზე და მომავალში სწორი პოლიტიკა გატარდება.

ნუკრი ქანთარია: „ჩვენი გუნდიდან გაშვება ვისაც ეწყინება, ცივი წყალი დალიოს“

არის თუ არა „ოცნება“ ცვლილებებისთვის მზად

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი **ნუკრი ქანთარია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე საუბრობს.

– ბატონო ნუკრი, საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით ხელისუფლების უმაღლესი პირები გამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ. მაგალითად, ირაკლი კობახიძე სრულად გამორიცხავს ცვლილებას, მამუკა ბახტაძე კი ამბობს, რომ ვინც რეფორმებს ფეხს ვერ აუწყობს, მათი ადგილი გუნდში არ იქნება. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– ჯერ არ არის შეჯერებული პოზიციები და ამიტომაც არის განსხვავებული განცხადებები. შეჯერებული რომ ყოფილიყო, მაშინ ყველა გამოვიდოდა და ერთსა და იმავეს იტყოდა. ჯერჯერობით გუნდის შიგნით კონკრეტული საუბარი საკადრო ცვლილებებზე არ ყოფილა.

თუმცა, მე შემიძლია ჩემი პოზიციის შესახებ გითხრათ. მე ვფიქრობ, რომ არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ხალხის გზავნილი ძალიან მკაფიო იყო. ადამიანები ჩვენგან ცვლილებებს მოითხოვენ. ამიტომ ცვლილებები უნდა მოხდეს. ფუნდამენტურ ცვლილებებს ითხოვდა ხალხი და ითხოვს, ამიტომ ეს გარდაუვლად უნდა მოხდეს. მით უმეტეს, პარტიის თავმჯდომარეს ამის შესახებ საუბარი ჰქონდა, კრიტერიუმებიც კი აღნიშნა.

– ეს ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირება იყო, ამიტომ იყო ირაკლი კობახიძის განცხადება სრულიად მოულოდნელი.

– სწორედ ამას ვამბობ. დიახ, ეს იყო დაპირება. კრიტერიუმებიც კი ჰქონდა მას დასახელებული. მე მიმაჩნია, რომ არა მხოლოდ კვალიფიციურობა უნდა იყოს განმსაზღვრელი, არამედ ერთგულებაც, პატრიოტიზმიც, სახელმწიფოებრივი ხედვაც, სწორედ ამ ხედვების მიხედვით უნდა შეირჩნენ კადრები.

– კონკრეტული გვარები დასახელდა?

– ჯერ არა. შეიძლება მე ჩემი აზრი მქონდეს ამ საკითხზე, მაგრამ არ ვიტყვი. თუმცა, ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ცვლილებები გარდაუვალია, რასაც ხალხი ელოდება. ოღონდ ცვლილება ცვლილებისთვის არ უნდა იყოს. ტენდენციები, რასაც ხალხს დავპირდით მეორე ტურის წინ, უნდა იგრძნონ ადამიანებმა. შედეგზე უნდა გავიდეთ. ადამიანები, ამ ქვეყნის უდიდესი უმრავლესობა, ამას ელოდება და ჩვენ ეს იმედები არ უნდა გავუცრუოთ.

როდის ჩატარდება საკადრო ცვლილებები პარლამენტში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ამის შესახებ კონკრეტული პასუხი არ მაქვს, მაგრამ რომ უნდა ჩატარდეს ეს, მტკიცედ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მგონია.

– მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე წევრის გვარი პრესაში აქტიურად სახელდება. რაიმე ინფორმაციის თქმა შეგიძლიათ?

– კონკრეტულ გვარებზე ნამდვილად არ შემიძლია საუბარი, მაგრამ ცვლილებები უნდა შეეხოს მინისტრთა კაბინეტსაც და პარლამენტსაც. არ დავკონკრეტდები, თუ ვის უნდა შეეხოს ცვლილებები. ხალხში მოლოდინი არსებობს და მე ამის შესაბამისად ვსაუბრობ, დანარჩენს დრო აჩვენებს.

თუ მხოლოდ იმიტომ ვამბობდით ამას, რომ მეორე ტური მოგვეგო და ახლა დავივიწყოთ, ეს სიზმარი იყო და წყალს გავატანოთ, ეგეთი ამბები არ გამოვა. ბუნებრივია, ეს უნდა გაკეთდეს, მაგრამ შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა უნდა იყოს მხოლოდ ცვლილება ცვლილებისთვის.

– 2020 წლის არჩევნებისთვის რამდენად მოასწრებს ან შეძლებს „ქართული ოცნება“ ამომრჩევლის იმ დაკვეთის შესრულებას, რაზეც თუნდაც გუშინ პრემიერ-მინისტრი საუბრობდა?

– ჯერ ერთი წელი არის.

– მთავარი მამოძრავებელი რა უნდა იყოს?

– ეს ერთი წელი არის, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა აიღო და ეს ამ ერთ წელიწადში უნდა გამოიკვეთოს. მთავარი პრობლემა ყველამ ვიცით – ერთი მხრივ, ეს არის სოციალური პრობლემა და, მეორე მხრივ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. მერე – განათლება და კულტურა. ყველა სფერო მეტ-ნაკლებად გასაძლიერებელი არის.

– განაწყენებას ხომ არ გამოიწვევს გარკვეული ადამიანებისთვის დამშვიდობება გუნდში?

– თუ ეს აუცილებლობაა და გარდაუვალია, მაშინ სხვა გზა არ რჩება. აქ არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – ყველა ეს გადაწყვეტილება სამართლიანი უნდა იყოს.

– კითხვები არ უნდა გამოიწვიოს?

– რასაკვირველია. შეიძლება სასიამოვნო არავისთვის იყოს დამშვიდობება, თუმცა, ცივი წყალი არსებობს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება სამართლიანი უნდა იყოს და არა – ტენდენციური.

ერთიც არის, ახალმა კადრმა საქმე უკეთესად უნდა გააკეთოს და არა – უარესად. თუ უარესი მოინახა, მაშინ არაფერს აზრი არ ექნება.

– გამორიცხავთ, რომ „ქართულ ოცნებას“ ამ პროცესის შემდეგ ვიღაცები გამოეყვნენ ცალკე გუნდად?

– ამას პოლიტიკური პროცესი აჩვენებს. დამალული არაფერი დარჩება. ეს ყველაფერი ღია პოლიტიკური პროცესი იქნება. გვინახავს მსგავსი შემთხვევებიც და პირიქითაც.

– გამოდის, არ გამორიცხავთ.

– უფრო შეკრული გუნდიდანაც გვინახავს. ასე რომ, ვნახოთ, მომავალში თუ როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები.

– ბატონო ნუკრი, ბოლო პერიოდში ბიძინა ივანიშვილი არ ჩანს. მას აქვს მზადყოფნა, წავა მკვეთრ რეფორმებზე? დღეს მოქალაქეების უდიდეს უმრავლესობას სწორედ ამ კითხვაზე აინტერესებს პასუხი.

– საერთოდ, ბიძინა ივანიშვილი სიტყვის კაცია. მაქსიმალურად ცდილობს, რომ დაპირება შეასრულოს. მით უმეტეს, ამ პირობებში, როდესაც მან მოსახლეობას მისცა დაპირებები. ამდენად, ეს თავისთავად გულისხმობს ყველაფრის გაკეთებას, მთელ ძალისხმევის ჩადებას, რომ ადამიანები იმედგაცრუებულები არ დარჩნენ.

2018 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 48%-ით შემცირდა

2018 წლის მესამე კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით სულ 322 მილიონი დოლარი შემოვიდა, რაც 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 48%-ით ნაკლებია.

საქსტატის განმარტებით, შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულების ფაზა, ასევე რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება.

რაც შეეხება 2018 წლის პირველ ცხრა თვეს, ამ პერიოდის განმავლობაში ინვესტიციების სახით სულ 998 მილიონი დოლარი შემოვიდა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 27%-ით ჩამოუვარდება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დათვლებით, მესამე კვარტალში საქართველოში ყველაზე მეტი ინვესტიცია შემდეგი ქვეყნებიდან შემოვიდა:

1) ნიდერლანდები – 49 მილიონი დოლარი;
2) სამხრეთ კორეა – 40 მილიონი დოლარი;
3) აზერბაიჯანი – 33 მილიონი დოლარი;
4) თურქეთი – 32 მილიონი დოლარი;
5) პანამა – 27.7 მილიონი დოლარი;
6) აშშ – 27.1 მილიონი დოლარი;
7) რუსეთი – 18.5 მილიონი დოლარი;
8) ლუქსემბურგი – 16.7 მილიონი დოლარი;
9) საფრანგეთი – 12.4 მილიონი დოლარი;
10) არაბ. გაერთ. საემირ. – 10 მილიონი დოლარი.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების სიაში ოფშორული ზონაც (პანამა) შედის. ოფშორული ზონებიდან ინვესტიციების გარკვეული ნაწილი თავისი არსით ქართული კომპანიების მიერ ან ქართველი ბიზნესმენების მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს წარმოადგენს.

რაც შეეხება ეკონომიკის სექტორებს, ყველაზე მეტი თანხა – 56 მილიონი დოლარი დამამუშავებელ მრეწველობაში ჩაიდო, ეს წინა წელთან შედარებით 27%-ით მეტია. 54 მილიონი დოლარით მეორე ადგილზე სატრანსპორტო სექტორია, სადაც ინვესტიციები 54%-ით შემცირდა. 46 მილიონი დოლარით მესამე ადგილზე ენერგეტიკის სექტორი გავიდა, რაც წინა წელთან შედარებით 50%-ით ნაკლებია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. მის შემცირებას ეროვნული ვალუტის კურსზე ნეგატიური გავლენა აქვს.

„ჩუგოშვილს შეიძლება კობახიძის პოსტი მოუნდეს“

ხათუნა ლაგაზიძე: „დღეს ივანიშვილსა და „ოცნებას“ შორის ტოლობას ვერ დავსვამთ, შეიძლება ეს ივანიშვილისთვის ბარიერად იქცეს“

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტის ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი აცხადებს, რომ დეპუტატებმა, ვისაც ნაყიდი აქვს მანდატი, ან უნდა იმუშაონ, ან სადეპუტატო მანდატს დაემშვიდობონ. დეტალები ჩუგოშვილს არ დაუზუსტებია.

იგულისხმება თუ არა ამ განცხადებაში ბიზნესიდან მოსული მაჟორიტარები და რას ფიქრობს გაერთიანებულ ოპოზიციაში მიმდინარე პროცესების შესახებ? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ პოლიტოლოგი **ხათუნა ლაგაზიძე** საუბრობს:

– თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, რომ იმ დეპუტატებს, რომლებსაც ნაყიდი აქვთ დეპუტატის მანდატი, ან მართლა უნდა იმუშაონ ან დაემშვიდობონ სადეპუტატო მანდატს. თქვენი აზრით, იგულისხმება ამაში ის მაჟორიტარები, რომლებიც ბიზნესიდან არიან მოსულები?

– ასე ვარაუდით საუბარი რთულია, მაგრამ წესით თუ ჩვენ ქართულ ტრადიციას გავითვალისწინებთ, ეს ხელისუფლების მხრიდან იმის აღიარებაა, რომ პარლამენტში არიან დეპუტატები, რომლებიც პარლამენტში მანდატების ყიდვის შედეგად მოხვდნენ. ამაში ალბათ უმრავლესობის დეპუტატები იგულისხმა, თუმცა შესაძლოა უმცირესობის წარმომადგენლებიც არიან.

დეპუტატების „საქმიანობის“ ასეთი ტრადიცია ნამდვილად არსებობს: მათი ნაწილი შევარდნაძის დროიდან მოყოლებული ყიდულობდა მანდატებს, მაგრამ ოფიციალური პირისგან ამის აღიარება პირველად მოხდა. ფაქტობრივად, ეს თვითლუსტრაციაა, რომ საკანონმდებლო ორგანოში არიან დეპუტატები, რომლებმაც მანდატები იყიდეს.

მაჟორიტარების დიდ ნაწილს, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს, ფაქტობრივად დაბეჭდული აქვთ მაჟორიტარული ოლქები. პარლამენტის საიტზე ჩანს, ესა თუ ის დეპუტატი რამდენგზის მოწვევის დეპუტატია სულ ერთი იგივე მუნიციპალიტეტიდან. მათ, ფაქტობრივად, საფეოდალოდ აქვთ ქცეული ესა თუ ის მაჟორიტარული ოლქი. ამიტომაც, მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვისგან „გამოისყიდიან“ საფეოდალოს: თავის დროზე იყო „მოქალაქეთა კავშირისგან“, მერე „ნაციონალური მოძრაობისგან“, ახლა „ოცნებისგან“ ყიდულობენ უფლებას, რომ ამ ოლქში იყარონ ხელისუფლების მხარდაჭერით კენჭი. არანაკლებ გავრცელებული ტრადიცია იყო პროპორციულ სიაში ადგილების ყიდვაც. სხვადასხვა თანხებზე იყო საუბარი, 200.000 დოლარიდან ნახევარ მილიონამდე მერყეობდა ხოლმე ეს თანხა, ყველა გამსვლელი პარტიის სიაში. როგორც ჩანს, ეს ამ პარლამენტშიც იყო.

– რას ნიშნავს თქვენთვის ის, როცა ასეთ განცხადებას აკეთებს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი?

– მეეჭვება, რომ ამ გზით ხელისუფლება ემზადებოდეს პროპორციულ სისტემაზე გადასასვლელად. მაგრამ საუკეთესო შემთხვევაში ვისურვებდი, რომ ამ განცხადების ქვეტექსტი ნიადაგის მომზადება იყოს მაჟორიტარების გასანეიტრალებლად და ეს იყოს მცდელობა ამ გზით საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებისა მაჟორიტარებთან სავარაუდო ბრძოლაში.

როცა პროპორციულ სისტემაზე ვსაუბრობთ, „ოცნების“ დიდ ნაწილს ეს არ უნდა იმიტომ, რომ ისინი პროპორციული სისტემის ფარგლებში ხელისუფლებაში საკუთარ თავს ვერ ხედავენ, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორი თავად მაჟორიტარები არიან.

ეს არ არის უმნიშვნელო ბარიერი, ამ ადამიანებს ჯამში შესაძლოა არანაკლები კაპიტალი ჰქონდეთ, ვიდრე თავად ბიძინა ივანიშვილს. საუბარია უმსხვილეს ბიზნესმენებზე, რომელთა სოლიდური ნაწილიც პარლამენტშია წარმოდგენილი მაჟორიტარების სახით. რა თქმა უნდა, მათ საარჩევნო ოლქები საყიდლად 2020 წელსაც აქვთ მოხაზული. ამიტომ, ამ ადამიანების წინააღმდეგობა ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევია.

– როცა პროპორციულ სისტემაზე გადასვლაზე მიმდინარეობდა მსჯელობა, სწორედ მაჟორიტარები წავიდნენ ამის წინააღმდეგ.

– სხვებიც წავიდნენ, რადგან ამ გზით მოპოვებული საკონსტიტუციო უმრავლესობა მათთვის საკუთარი სიმშვიდის გარანტიაა, მაგრამ უპირატესი როლი მაინც მაჟორიტარებს ჰქონდათ, რათა შეენარჩუნებინათ ეს სისტემა.

მაჟორიტარების განეიტრალების საქმეში ხელისუფლების ყველაზე კარგი პარტნიორი მოსახლეობაა. თუ ინფორმაციულად შემზადება მოხდება, რომ საქართველოს პირობებში, მაჟორიტარული სისტემა არის გარიგება ხალხის წინააღმდეგ და ამას წერტილი უნდა დაესვას არა 2024 წელს, არამედ 2020 წელს, ხელისუფლებას საზოგადოების მხრიდან პარტნიორობა გარანტირებული ექნება.

მე ვისურვებდი, რომ ასე მეთარგმნა ჩუგოშვილის განცხადება, რეალურად რა მოტივი იყო, ამას ვერ გეტყვით.

– ეს არის ხელისუფლების პოლიტიკის ნაწილი თუ ეს არის ჩუგოშვილის პირადი განცხადება? ის ბოლო პერიოდში გამოირჩევა საინტერესო განცხადებებით. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი თავისუფლების გამომხატველი პოზიცია იყო ეს?

– მე არ ვიცნობ ამ ადამიანს იმდენად, რომ მის სუბიექტურ მოტივებზე ვილაპარაკო. ცხადია, რომ საკმაოდ ჭკვიანი ქალია, რომ ხვდებოდეს, რა ტენდენციებია საზოგადოებაში და ამ ტენდენციების გათვალისწინებით გამოხატავდეს პოზიციებს.

ის ითვლება ლიბერალური ფრთის წარმომადგენლად ხელისუფლებაში და სწორედ მისგან ელოდებიან საზოგადოებისკენ შემხვედრი ნაბიჯის გადადგმას. ის უმრავლესობის წიაღში აშშ-სთან ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული დეპუტატია. აქედან გამომდინარე, ამერიკის სიმპათიის შესანარჩუნებლად მისი პერსონის მიმართ, იცის რა განცხადებები აკეთოს.

ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ხელისუფლების წიაღში საკადრო ცვლილებები არ იგეგმება, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია კობახიძის მიმართ საზოგადოებაში უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება. საუბარი სულ უფრო აქტიურია პარლამენტის თავმჯდომარის ჩანაცვლებაზე. არ არის გამორიცხული, რომ ჩუგოშვილი თავის დროს ელოდებოდეს კობახიძის გადაყენების შემთხვევაში და სათანადო განწყობებს ქმნიდეს საზოგადოებაში მისი პერსონის მიმართ.

– გადავიდეთ ინაუგურაციის თემაზე. ხელისუფლებაშიც ჯერ არ არიან საბოლოოდ გარკვეული, სად იქნება ინაუგურაცია. რა კომენტარს გააკეთებთ ამ საკითხზე?

– ინაუგურაციის თემა არ არის დიდი ინტერესის სფერო. ეს არის ხელოვნურად გაბერილი თემა, რათა სხვა საკითხებიდან საზოგადოების ყურადღება გადაიტანონ. თავისთავად ეს არის აბსოლუტურად არაჯანსაღი ინტერესი. სრულიად უუფლებო, საზოგადოებისთვის თავს მოხვეული პრეზიდენტი, ნაჩუქარი მანდატით, სად და როგორ გაკეკლუცდება ინაუგურაციაზე, ამის არავისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

– სალომე სამადაშვილმა თქვა, რომ არასწორია, როცა აქციაზე ვაშაძეს პრეზიდენტს ეძახიან, რადიკალიზაცია არ მოსწონს. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამ პოლიტიკურ ძალაში გარკვეული ბზარია გაჩენილი?

– ეს არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ მისი განცხადება განსხვავდება მისი კოლეგების შეხედულებებისგან ნაცმოძრაობის წიაღში. ვერ გეტყვით, არის თუ არა ეს ბზარი.

– ამ კითხვას იმიტომ ვსვამ, რომ სწორედ არჩევნების შემდგომი ქმედებები გახდა 2016 წელს ნაცმოძრაობის დაშლის მიზეზი.

– კი, განხეთქილება ამან გამოიწვია. მე არ ვფლობ კულუარულ ინფორმაციებს, რომ ვივარაუდო, გამოიწვევს თუ არა ეს მორიგ ჯერზე ნაცმოძრაობის დაშლას.

პრაგმატული თვალსაზრისით, ნაცმოძრაობა დღეს უფრო გაძლიერებულია და ამ პარტიიდან გასვლა დღეს ნაკლებ მომგებიანი ჩანს, მაგალითად, ვიდრე ეს საპრეზიდენტო არჩევნებამდე იყო, მაგრამ შესაძლოა საღომე სამადაშვილს სხვა მოტივები ამოძრავებდეს.

– გაერთიანებულმა ოპოზიციამ უნდა აღიაროს არჩევნების შედეგები?

– ჩემს აზრს არ დავეყრდნობი, ამ შემთხვევაში ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის აზრს ვიტყვი, რომელმაც საქართველოს ყველა პოლიტიკურ ჯგუფს შედეგების აღიარებისკენ მოუწოდა, უამრავი დარღვევის მიუხედავად. რომ არ აღიარონ, რა შედეგს მიაღწევენ ამით?

პროპორციული სისტემით არჩევნები რომ ჩასატარებელია, ამაზე „ოცნების“ გარდა ყველა პარტია თანხმდება, რომ 2020 წელსვე უნდა ჩატარდეს არჩევნები ამ სისტემით. მაგრამ ვადამდელი არჩევნები, რასაც ნაცმოძრაობა ითხოვს, მათ გარდა, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ აწყობს, თუნდაც პროპორციული წესით ჩატარდეს. იმიტომ, რომ ამისთვის მზად არც ერთი პოლიტიკური ძალა არ არის.

ნაცმოძრაობას სწორედ ამიტომ უნდა ვადამდელი არჩევნები, რომ სანამ იმ 800.000 ხმიდან ნახევარი სხვა პარტიებზე გადანაწილებულა, ძალიან ანგარიშგასაწევ ძალად შევიდეს პარლამენტში.

ამ არჩევნებზე საპროტესტო ხმები იყო ძალიან დიდი. დიდი შანსია, რომ ეს საპროტესტო ხმები 2020 წელს ჩამოშორდეს როგორც „ოცნებას“, ისე ნაცმოძრაობას. ამას ნაცმოძრაობა კარგად აცნობიერებს. შესაძლოა, დრომ მის სასარგებლოდ არ იმუშაოს, თუ პოლიტიკურ ასპარეზზე საინტერესო პოლიტიკური ძალები გამოვლენ. შესაბამისად, „ნაცმოძრაობას“ ამიტომ არ უნდა შედეგების აღიარება: ამას საბაბად იყენებს ვადამდელი არჩევნების მოსათხოვად.

დღეს არსებული მოდელით ვადამდელი არჩევნების ჩატარება ნაციონალურ მოძრაობაზე მეტად „ქართულ ოცნებას“ აწყობს, საქმე საქმეზე თუ მიდგა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მაჟორიტარებიანად კვლავ შეეცდება, უმრავლესობაში მოვიდეს. ისევ იმ პრინციპით, რომ სხვა არც ერთი ძალა მზად არ არის არჩევნებისთვის და ისევ იმ ლოზუნგით – საბოლოო მახვილი ჩავცეთ „გველაშაპ სააკაშვილს“, „ოცნებას“ დღეს მეტი შანსი აქვს უმრავლესობაში მოვიდეს, ვიდრე ეს 2020-ში ექნება. მაგრამ ის, რაც „ოცნებას“ აწყობს, შეიძლება ივანიშვილს არ აწყობდეს.

დღეს ტოლობის ნიშანს ბიძინა ივანიშვილსა და „ოცნებას“ შორის ვერ დავსვამთ. „ოცნებაში“ ბევრია ისეთი, ვინც მხოლოდ საკუთარ თავს ხედავს პოლიტიკაში, ხოლო პოლიტიკა მხოლოდ საკუთარი ბიზნესინტერესებისთვის სჭირდება და ისინი შეიძლება ბიძინა ივანიშვილისთვის სერიოზულ ბარიერად იქცნენ.

ივანიშვილს პროპორციული არჩევნები შეიძლება აწყობდეს კიდეც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ აწყობს „ოცნებას“. იმიტომ, რომ ივანიშვილი წვრილ-წვრილი პარტიებით პარლამენტში უმრავლესობას მაინც შექმნის. მას შეუძლია, რომ პროპორციული სისტემით ჩაატაროს არჩევნები 2020-ში, პარლამენტში შესული 7-8 პარტიიდან უმრავლესობა დააკომპლექტოს, თვითონ გადგეს განზე, რეალური ძალაუფლების მქონე თვითონ იყოს, ისევ თვითონ იყოს გავლენის მთავარი ცენტრი, მაგრამ არ იყოს პასუხისმგებლობის მქონე მთავარი ობიექტი, ვისაც მთავარ ტალახს ესვრიან.

ეს მისთვის შეიძლება გაცილებით კომფორტული იყოს, ვიდრე დღევანდელი სტატუს-ქვო. მაგრამ ეს სცენარი „ქართული ოცნების“ ფულნაშოვნ და ძალაუფლებანაგემ უმრავლესობის დიდ ნაწილს თამაშგარე დატოვებს. ამიტომ, შესაძლოა, ივანიშვილისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებების გზაზე მთავარი ბარიერი სწორედ „ოცნება“ იყოს.

„თორნიკე რიჟვაძე არის პოლიტიკური გვამი“

ოპოზიცია აჭარის მთავრობის მეთაურის მუქარას პასუხობს

შორენა მარსაგიშვილი

აჭარის მთავრობის მეთაური თორნიკე რიჟვაძე კინაღამ ერის გამაერთიანებელი გახდა, ამ ახალგაზრდა ყმაწვილის განცხადებამ ყველა გააერთიანა, გაერთიანების მიზეზი მთავრობის მეთაურის საჯარო მუქარა გახდა.

ამ ზომამდე რიჟვაძე ოპოზიციონერმა ჯელალ ქიქავამ მიიყვანა, რომელმაც თავის მხრივ გასულ წელს ბათუმში განვითარებული მოვლენები გაიხსენა.

– ჩვენ ბათუმში ვნახეთ ბუმი. ჩემი თვალით ვნახე გაჭირვებული ხალხის ბუმი, კინაღამ ქალაქი გადაწვეს. იმას ხელმძღვანელი არ ჰყავდა, იმას რომ ხელმძღვანელი ჰყოლოდა, ისინი მთელ ქალაქს გადაწვავდნენ. მაშინაც ვთქვი მე, რომ 300 წელი ყივჩაღები აუპატიურებდნენ აჭარლების ცოლებს, შვილებს, იპარავდნენ, მუსლიმანობას აღებინებდნენ და აჭარლები გარეთ არ გამოსულან და 6 თვეში „ქართულმა ოცნებამ“ იმდენი გააკეთა, რომ აჭარლები გარეთ გამოიყვანეს და კინაღამ თავისი ქალაქი გადააწვევინეს, – განაცხადა ტვ პირველის ეთერში ქიქავამ.

ამ განცხადებამ რიჟვაძე გააღიზიანა და მან ემოციები თანამდებობისთვის შეუფერებელი ფორმით გამოხატა.

– ჩვენი ოპონენტების საქციელი, მათი განცხადებები უკვე ყოველგვარ ზღვარს სცდება. თქვენ მოისმინეთ ქიქავების და სხვა ამ ტიპის სუბიექტების ყოვლად სამარცხვინო განცხადებები. ვაცხადებ, რომ პირადად ვიძიებ შურს ყველა ადამიანზე, რომელიც გაბედავს აჭარელი ხალხის ღირსების შეურაცხყოფას. ჩვენ მათ საკონტროლო დარტყმა გავუკეთეთ და პირობას ვდებ, რომ ამ პროცესს მივიყვანთ ბოლომდე და ყველა ეს ადამიანი ამ ველისგან გაიწმინდება.

არავისთან არ ვაპირებ არც პოლიტიკურ, არც მერკანტილურ ვაჭრობას. ბატონი პრემიერის ხელმძღვანელობით, ჩვენი გუნდი დაიცავს თითოეული ადამიანის უფლებას და თავისუფლებას. უნდა მიეჩვიონ, რომ ჩვენთან ვაჭრობა ვერ გაგრძელდება – ვერც მერკანტილური, ვერც პოლიტიკური, – თქვა აჭარის მთავრობის მეთაურმა.

მთავრობის მეთაურის მუქარას ოპოზიცია დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. მისი თქმით, რეგიონის უმაღლესი თანამდებობის პირის მხრიდან საჯაროდ აგრესიული განცხადებების გაკეთება მიუღებელია.

– ეს არის აჭარის მთავრობის პირველი პირი. ეს არ არის გამგებელი, ბიბლიოთეკის გამგე. ეს არის რეგიონის პირველი პირი, რომელიც ხმარობს სიტყვას – საკონტროლო გასროლა, შური იძიოს. ეს ადამიანი დღეს არის პოლიტიკური გვამი. რაც მან გააკეთა, მიუთითებს, რომ ის არის პოლიტიკური გვამი, – განაცხადა ჯელალ ქიქავამ.

აღშფოთებულია „ემსახურე საქართველოს“ ლიდერი მურმან დუმბაძეც. მისი თქმით, ამ მუქარით რიჟვაძემ უსუსურობა გამოავლინა.

– ამ ახალგაზრდა ბავშვზე, ყმაწვილზე არასდროს კომენტარი არ გამიკეთებია, იმდენად უსუსური პიროვნებაა. პირველი პრობლემა არის იმაში, რომ მას წარმოდგენა არ აქვს აჭარის მოსახლეობის დეფინიციის განსაზღვრებისას, როდესაც ის ხმარობს ტერმინს – აჭარელი ხალხი. პრობლემა არ არის ამ ახალგაზრდა კაცში და იმ ახალგაზრდებში, რომლებიც ქვეყანას მართავენ. ქართული პოლიტიკის პრობლემაა ბიძინა ივანიშვილი, რომელიც რაც სწრაფად მოშორდება ქვეყანას, მით უკეთესი, – განაცხადა დუმბაძემ.

გიორგი გაჩეჩილაძე: „საკონსტიტუციო სასამართლო ყველა პრობლემის შემქმნელ უმაღლეს სასამართლო ხელისუფლებად იქცა“

გულიკო ბალაძე

ახალ კონსტიტუციაში წერია, რომ ქართული მიწა უცხოელებზე არ გაიყიდება. ამიტომ სულ დარჩა 9 დღე. ინაუგურაცია რომ ჩატარდება და სალომე ზურაბიშვილის, როგორც პრეზიდენტის უფლებამოსილება ძალაში შევა, კონსტიტუციაც დარეგულირდება და კონსტიტუცია დაარეგულირებს ამ საკითხს.

პარლამენტის უმრავლესობის წევრი **გიორგი გაჩეჩილაძე** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყანაში პრობლემების შემქმნელ უმაღლეს სასამართლო ხელისუფლებად იქცა. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ძალას უკარგავს ახალი კონსტიტუცია, რომელიც 16 დეკემბერს, პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ამოქმედდება.

– 9 დღეა შუალედი. ზუსტად ვიცი, რომ ამ პერიოდში არავინ არაფერს არ მიყიდის უცხოელებს. მინდა ეს იცოდეს საზოგადოებამ და იმ ხალხმა, რომელიც ცდილობს ააღელვოს ხალხი. არაფერი მოხდება, რადგან წარმოვადგენ უმრავლესობას და ვიცი, რომ ამ პერიოდში არაფერი მაგდაგვარი არ მოხდება. ამით ვერავინ ვერაფერს ვერ მიიღებს, – აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.

– ბატონო გიორგი, ალბათ, მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლომ ორი დღის წინ სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვაზე დაწესებული მორატორიუმი გააუქმა. რა არის ეს, რატომ ღებულობს საკონსტიტუციო სასამართლო ამგვარ მიუღებელ გადაწყვეტილებებს?

– სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლო ამ ქვეყანაში იქცა ყველა იმ პრობლემის შემქმნელ უმაღლეს სასამართლო ხელისუფლებად. მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლომ რა გადაწყვეტილება მიიღო მარიხუანასთან დაკავშირებით. ახლა სასოფლო სამეურნეო მიწების გაყიდვაზე მორატორიუმის გაუქმება.

თუმცა, ეს გადაწყვეტილება იმოქმედებს 2018 წლის 16 დეკემბრამდე. როდესაც სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია მოხდება და ძალაში შევა კონსტიტუციის ახალი ვარიანტი, აღნიშნული გადაწყვეტილება ძალას დაკარგავს. ახალ კონსტიტუციაში წერია, რომ ქართული მიწა უცხოელებზე არ გაიყიდება. ამიტომ სულ დარჩა 9 დღე. ამიტომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას სერიოზულად არ ვუყურებ. ინაუგურაცია რომ ჩატარდება და სალომე ზურაბიშვილის, როგორც პრეზიდენტის უფლებამოსილება ძალაში შევა, კონსტიტუციაც დარეგულირდება და კონსტიტუცია დაარეგულირებს ამ საკითხს.

– ამ პერიოდში გარკვეული ძალები ხომ მოასწრებენ მიწების ყიდვა-გაყიდვას?

– ვერაფრის გაყიდვა და ყიდვა ვერ მოხერხდება. ზუსტად ვიცი, რომ ამ პერიოდში არავინ არაფერს არ მიყიდის უცხოელებს. მინდა ეს იცოდეს საზოგადოებამ და იმ ხალხმა, რომელიც ცდილობს ააღელვოს ხალხი.

– რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

– არაფერი არ მოხდება. მე წარმოვადგენ უმრავლესობას და ვიცი, რომ ამ პერიოდში არაფერი მაგდაგვარი არ მოხდება. ამით ვერავინ ვერაფერს ვერ მიიღებს.

– საინტერესოა, საკონსტიტუციო სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებებს რატომ იღებს? თანაც სარჩელს, რომელიც შეტანილი ჰქონდათ ბერძენ მოქალაქეებს, მხარს უჭერდა სახალხო დამცველი. ვერ გავიგე, სახალხო დამცველი საქართველოსია თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეების?

– არ ვიცი, მაგაზე მე პასუხი არ მაქვს. სახალხო დამცველმა რაიმე განცხადება გააკეთა?!

– არა. ის მხარს უჭერდა უცხოელებისთვის სასოფლო სამეურნეო მიწების მიყიდვაზე მორატორიუმის მოხსნას და საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურად მიმართა.

– საერთოდ, იმიტომ, რომ ის არასამთავრობო სექტორიდან მოსული ადამიანია. არასამთავრობო სექტორს ყოველთვის რადიკალური ლიბერალური შეხედულებები აქვს სხვადასხვა საკითხებზე. აქედან გამომდინარე, მისი პოზიციაც ბუნებრივია.

თუმცა, საქართველოში არსებობს საპარლამენტო უმრავლესობა, არსებობს კონსტიტუციური ნორმები, რომელიც ამ ყველაფერს აგვარებს. არასამთავრობო სექტორი იმასაც აცხადებდა, კონსტიტუციაში არ უნდა ჩაიწეროს, ქორწინება ქალსა და მამაკაცს შორის რომ არისო.

კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ საქართველოში ქორწინება არის ქალსა და კაცს შორის, პარალელურად, მიწაზეც კონსტიტუციაში წერია, რომ მიწა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ გაიყიდება. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ასეთი დიდი საქმე გაკეთდა.

– ბატონო გიორგი, თქვენ რაღაც საშიშროებას ხედავთ, პარლამენტის წინ კარვები რომ არის გაშლილი და ადამიანები აქციას ატარებენ. კონკრეტულად, რა საშიშროებას ხედავთ?

– საშიშროება ის კი არ არის, აქციას რომ ატარებენ და კარვებია გაშლილი. საშიშროებას ქმნის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ცდილობს ქვეყანაში დესტაბილიზაცია შექმნას და უბედურება დაატრიალოს. პრობლემა ისაა, მადესტაბილიზებელმა ძალამ არ გამოიყენოს პარლამენტის წინ შექმნილი სიტუაცია.

– ამის სიგნალები არის?

– გაიხსენეთ, ცხინვალის კონფლიქტი როგორ დაიწყო.

– როგორ?

– ბავშვი მოკლეს აკვანში. საერთოდ, ეს ცნობილი მეთოდოლოგიაა, დივერსიული ძალებისა, რომლებიც მოქმედებენ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. დივერსიული ძალები ცდილობენ, ძალიან სერიოზული ემოციური ფონი შექმნან. ამის გამო ყველაფერს აკეთებენ. მაგალითად, კოსოვოში კონფლიქტი დაიწყო სნაიპერის მიერ ვიღაცის მოკვლის შემდეგ.

2001 წელს გიორგი სანაია რატომ მოკლეს? მაშინ იყო ვერსიები, რომ ამ ახალგაზრდა, პოპულარულ, ძალიან კარგი ჟურნალისტის მკვლელობა დაკავშირებული იყო პროტესტის ტალღის აგორების სურვილთან. მაშინაც ააკაშვილი იყო მოქმედი პირი, პოლიტიკურ არენაზე ძირითად ოპოზიციურ ძალას ეგენი წარმოადგენდნენ. თუმცა, მაშინ პროტესტის ტალღის აგორება ვერ მოხერხდა. ამიტომ მსგავსი საფრთხეები ყოველთვის არის.

– ზოგადად, საშიშროება ყოველთვის არის, მაგრამ ახლა რამ გაგიჩინათ ეს აზრი?

– უკრაინელი ბოევიკების ჩამოსვლა არ არის მიმანიშნებელი იმისა, რომ ნაციონალების აქციაზე მსგავსი სცენარი გათამაშებულიყო? ვინ იცის, რა მოხდებოდა აქციის დღეს, დილით სამართალდამცავებს ბოევიკები რომ არ დაეკავებინათ. ალბათ, მომავალში ყველაფერი გაირკვევა. მე ვერსიას გამოვთქვამ, როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი, რომელმაც არა მარტო საქართველოს პოლიტიკური ისტორია ვიცი, არამედ ვიცი, რა ხდება ისეთ ქვეყნებში, რომელშიც სოციალური პრობლემებია, ზოგადად, სოციალური ფონი მძიმეა და დესტაბილიზაცია ადვილი მოსახდენია.

– ახლა კეთდება განცხადებები, თითქოს ნაცმოძრაობას არავითარი დასაყრდენი არ აქვს იმის გამო, რომ რუსთაველზე საპროტესტოდ ხალხი ვერ გამოიყვანა. ვაშაძემ 800 ათასამდე ხმა როგორ მიიღო თუ მხარდამჭერი არ ჰყავს?

– ვაშაძემ 780 ათასი ხმა მიიღო. ვფიქრობ, ხმების ამხელა რაოდენობა განაპირობა იმ დიდმა სიყალბეებმა, რომელიც ნაცმოძრაობამ, მისმა საპრეზიდენტო კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ და მიხეილ სააკაშვილმა რუსთავი-2-ის ეთერით და სხვა სააგენტოების მეშვეობით გაავრცელეს და ხალხი შეცდომაში შეიყვანეს.

ბუნებრივია, ამას შესწავლა სჭირდება. მე ვფიქრობ, ამ ხალხის დიდი ნაწილმა ნაცმოძრაობას კი არ დაუჭირა მხარი, არამედ იმ პროპაგანდას, რომელსაც „რუსთავი-2-ის“ საშუალებით გრიგოლ ვაშაძე და სააკაშვილი ეწეოდა. ისინი საზოგადოებას ჰპირდებოდნენ, პენსიას 400 ლარის ოდენობით.

ყველამ იცის, რომ ეს არის უდიდესი სიყალბე. როგორ შეიძლება ისეთი პატივცემული საზოგადოების, დამსახურებული ადამიანების გამოყენება და მათი შეცდომაში შეყვანა. 400 ლარი რომ ვერაფრით ვერ იქნებოდა პენსია, ეს იცის ყველამ, ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია ბიუჯეტის შესაძლებლობებში.

– ანუ გინდათ თქვათ, რომ ნაცმოძრაობას დასაყრდენი არ აქვს?

– აქციაზე რომ ხალხი არ მივიდა, ამით გამოჩნდა, რომ მაგათ კი არ უჭერენ მხარს, არამედ იმ იმედს დაუჭირეს მხარი, რომელიც დაკავშირებული იყო პენსიების არარეალურ ზრდასთან, რომელსაც ჰპირდებოდნენ. შემდეგ ეს საზოგადოება დაფიქრდა და მიხვდა, რომ მათი გამოყენება სჭირდებოდათ დესტაბილიზაციის შექმნისთვის. ამიტომაც ვერ შეკრიბეს ხალხი პარლამენტის წინ აქციაზე.

– რა აზრის ხართ, ინაუგურაციის თელავში, ერეკლეს სასახლეში ჩატარებაზე?

– აბა, რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? პარლამენტის წინ აქცია ტარდება. წესით, პრეზიდენტის ინაუგურაცია პარლამენტის წინ უნდა ჩატარებულიყო.

– ბატონო გიორგი, როგორ ახსნით, რომ ავღანეთში ჩატარებულ არჩევნებში ხელისუფლების მხარდაჭერილმა კანდიდატმა მეორე ტურში წააგო? მოგეხსენებათ, პირველ ტურში ავღანეთის ქართველი სამხედროების უმრავლესობამ ხმა სალომე ზურაბიშვილს მისცა, მეორე ტურში კი – გრიგოლ ვაშაძეს.

– ჯარში არეულობის შეტანას ცდილობდნენ. საქართველოს შეიარაღებული ძალების სრული დეზინფორმირება მოხდა. „რუსთავი-2-მა“ ააგორა თემა, თითქოს გაეროს ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში აღიძრა საქმე 2008 წლის ომთან დაკავშირებით და თითქოს ჯარისკაცებისა და ოფიცრების გასამართლების საკითხი შეიძლება დადგეს.

ეს იყო აბსოლუტური ტყუილი და დეზინფორმაცია. პირდაპირ ვიტყვი – მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი პრეცედენტი, რომ ჯარისკაცი გაესამართლებინოს ტრიბუნალს. მიუხედავად იმისა, უამრავი ომია სხვადასხვა რეგიონებში უამრავი ბრძოლაა, ხალხი იხოცება, ყოველთვის პასუხი ეკისრება იმას, ვინც პროცესების უშუალო პასუხისმგებელია.

გეტყვით, როგორ შეიყვანეს ჯარი შეცდომაში, რეალობა უკუღმა როგორ დაატრიალეს და როგორ იმუშავა „რუსთავი-2-მა“ რუსეთის სასარგებლოდ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ, როდესაც 2016 წელს ჰაგის საერთაშორისო სასამართლომ ისევ დაიწყო მოკვლევა 2008 ომის გარემოებებსა და იმ დროს ცხინვალის რეგიონში ჩატარებულ ეთნიკურ წმენდაზე, რაც რუსებმა და ოსებმა ჩაიდინეს.

ჰააგაში საქმის აღძვრის შემდეგ მარია ზახაროვამ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთი გადის რომის სტატუტიდან, ის ტოვებს ჰაგის სასამართლოს, აღარ იქნება მხარე, რადგან იმ კონვენციას ტოვებს, რომლითაც შეუერთდა ჰაგის სისხლის სამართლის სასამართლოს. მარია ზახაროვა ამის მიზეზსაც ამბობს, ცხინვალის რეგიონში მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით ჩვენ წარვადგინეთ ჩვენი მასალები, მაგრამ ჰააგის სასამართლო მხოლოდ რუსეთის დანაშაულს იძიებსო. ამის გამო ვტოვებთ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს და ვეღარ გაგვასამართლებთო.

– 2008 წელს საქართველოში ჩადენილის გამო, პასუხისმგებლობა რუსეთს მაინც ხომ დაეკისრება?

– ყოველ შემთხვევაში, საქმე რომ დამთავრდება, არ იქნება რუსეთის სასარგებლო. წარმოიდგინეთ, ყველაფერი გააკეთა ნაცმოძრაობამ, რომ ამ პროცესის დისკრედიტაცია მოეხდინათ და საქართველოს ჯარისკაცები შეცდომაში შეეყვანათ, თითქოს ჰაგის პროცესი მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. სინამდვილეში, თუ განაჩენი დადგა, რუსეთის წინააღმდეგ იქნება, რუსეთის მიერ ჩატარებული ქართველების ეთნიკური წმენდის გამო.

ბუნებრივია, რიგითმა ჯარისკაცმა საიდან უნდა იცოდეს, რას წარმოადგენს, რა საქმეებს იხილავს გაეროს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ჰაგის ტრიბუნალი და ტრიბუნალს წესდებაში რა უწერია. ამიტომ დანაშაული ჩაიდინეს და რუსეთის ინტერესები გააძლიერეს და დისკრედიტაცია გაუკეთეს იმ საქმეს, რომელიც აგვისტოს ომთან დაკავშირებით ჰაგაში მიმდინარეობს საქართველოს სასარგებლოდ. პარალელურად, შეეცადნენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არეულობა შეეტანათ.

მეპურეები პურის ფასის ზრდასთან დაკავშირებით მთავრობის ჩართულობას ითხოვენ

სარეალიზაციო წერტილებში პურის ფასმა 5-10 თეთრით მოიმატა. გაძვირების მიზეზად პურ-პროდუქტების კომპანიის წარმომადგენლები ფქვილზე ფასის მატებას ასახელებენ.

მეპურეთა ასოციაციის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძე პურის ფასის მატებას ეკონომიკურ საკითხებს უკავშირებს და ამბობს, რომ მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდამ გაძვირა ფქვილი და, შესაბამისად, პური.

– ფქვილის ფასის ზრდიდან გამომდინარე იძულებული ვიყავით გაგვეზარდა პურის ფასიც. ზაფხულიდან მოყოლებული ერთი ტომარა ფქვილის ფასი 37 ლარიდან 44-45 ლარამდე გაიზარდა, რაც კრიტიკული ფასია მეპურეებისთვის, იმიტომ, რომ ასეთი ფასის პირობებში ვერ ვეტევით თვითღირებულებაში. გარდა ამისა, მოსახლეობისა და ბაზრის მოთხოვნით პოლიეთილენის შეფუთვა ქაღალდის შეფუთვით შეიცვალა, რაც გარკვეულწილად ფასებზეც აისახა, – განაცხადა მალხაზ დოლიძემ.

დოლიძე პრობლემის მოგვარებაში მთავრობის ჩართვას საჭიროდ თვლის.

– მთავრობის ჩართულობა საჭიროა, ვინაიდან ეს სენსიტიური თემაა, რადგან ძირითად კვების პროდუქტს ეხება. საქართველოს წელიწადში მილიონი ტონა ხორბალი სჭირდება, რაც ბევრი არაა. მიზანშეწონილია მარაგების შექმნა, რათა ასეთი პრობლემები არ შეიქმნას, ასევე ადგილობრივი წარმოების წახალისება, თუმცა ამ საკითხების გადაჭრა დროის საკითხია, – განმარტავს მალხაზ დოლიძე.

ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი ლევან სილაგავა პურის ფასის ზრდას ობიექტურს უწოდებს მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდიდან გამომდინარე და სხვა მოქმედ ფაქტორებს შორის ვალუტის კურსს ასახელებს.

– ფქვილის ფასი ობიექტურად გაიზარდა, რადგან რუსეთში, საიდანაც ხორბლის 90%-ის იმპორტი ხდება, გაიზარდა ხორბლის ფასი, ასევე გაიზარდა გემით ტვირთის გადაზიდვის ქირა (ფრახტები), ტრანსპორტირება, ამას გარდა ვალუტის კურსმაც იქონია გავლენა, ვინაიდან დოლარით ვყიდულობთ ხორბალს.

ხორბლის და ფქვილის ბოლო 10 წლის სტატისტიკა მოწმობს, რომ ეს ფასები ჩვენთან მსოფლიო ბაზარზე არსებული მდგომარეობის მიხედვით იცვლება. ვფიქრობ, ახლა არსებული ფასი ჯერჯერობით არ შეიცვლება, თუ ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილება არ მოხდა. ახალი ანალიტიკა კი შემდეგი წლის თებერვლიდან გვეცოდინება და მერე შეგვიძლია პროგნოზებზე საუბარი, – აცხადებს ლევან სილაგავა.

აღსანიშნავია, რომ პურის ფასის ზრდას პრემიერ-მინისტრი, მამუკა ბახტაძეც გამოეხმაურა და შესაბამის ორგანოებს საკითხის შესწავლისკენ მოუწოდა.

– მინდა შევეხო დღევანდელ ინფორმაციას, რომ მოხდება პურის ფასის მკვეთრი ზრდა. არსებობს მოსაზრება, რომ ჩვენ შეიძლება საქმე გვქონდეს არასამართლიან კონკურენციასთან. მინდა შესაბამის ორგანოებს მივმართო, უმოკლეს ვადებში შეისწავლონ ეს სიტუაცია და მოამზადონ ანგარიში, რასთან გვაქვს საქმე. საქართველო არის საბაზრო ეკონომიკა, ჩვენ ვართ ღია ეკონომიკა, მაგრამ არასამართლიანი კონკურენციის კეთების საშუალებას ვერავის მივცემთ, – განაცხადა ბახტაძემ.

ემზარ ჯგერენაია: „ასე ერთბაშად არ უნდა მომხდარიყო პურის გაძვირება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში **ემზარ ჯგერენაია** პასუხობს.

– ბატონო ემზარ, გუშინ დილით სუპერმარკეტებში შესულ მოსახლეობას სიურპრიზი დახვდათ, პური 10-15 თეთრით გაძვირდა. კომპანიები აცხადებენ, რომ ეს პროცესი ბევრად ადრე უნდა დაწყებულიყო, თუმცა წინასაარჩევნოდ ფასი ხელოვნურად დაიჭირეს და არ გაზარდეს. რას იტყვით თქვენ, რამ გამოიწვია პურზე ფასის მატება? მეწარმეები არ გამორიცხავენ, რომ ფქვილზე ფასმა კიდევ მოიმატოს.

– რა ხდება იცით, პირდაპირ საოცარი სიტუაციაა. რამდენიმე დღის წინ, მთელ მსოფლიოში, ხორბლის ბაზარზე, საკმაოდ სერიოზული ვარდნა იყო ხორბლის ფასების. იგივე რუსეთშიც, რომელზეც ჩვენ ვართ დამოკიდებული, ფასის აწევს არ ჰქონდა ადგილი. არჩევნების წინ, სხვა საგანია რატომ, მაგრამ ლარის კურსი მეტ-ნაკლებად დაასტაბილურეს. ნამდვილად არ იყო ისეთი გარემოება, რომელსაც შეეძლო პურზე ფასის მატება გამოეწვია. გვახსოვს, რომ ჩვენ გვქონდა პრობლემები გადამზიდავებთან დაკავშირებით.

– დიახ, მათ რამდენიმედღიანი აქცია ჰქონდათ.

– რომ არ გაძვირებულიყო ხორბალი, ვნახეთ, რომ დათმობაზე წავიდნენ, გადადეს ეს მომენტი და ყველაფერი ამ ეტაპზე დარჩა ისე, როგორც იყო. აქედან გამომდინარე ძალიან მიჭირს იმის ახსნა თუ რამ განაპირობა ეს. ობიექტური მიზეზი არ გვაძლევს იმის საბაბს ვთქვათ, რომ პური ამის გამო გაძვირდა. მსოფლიო ბაზარზე ფასი ვარდება, რუსეთში ფასი ვარდება, რუბლი დოლართან მიმართებაში უფასურდება, ხორბალს კი რუბლში ყიდულობენ, რა მოხდა, რატომ გააძვირეს პური?!

– პურის მწარმოებელი კომპანიები აცხადებენ, რომ ჩვენ ფქვილი ბევრად ადრე გაგვიძვირდა, მაგრამ არ გავზარდეთ ფასი, რადგან არჩევნების პერიოდი იყოო.

– მე მთელი დღეა თვალს ვადევნებ ამ საკითხს და არც ერთი ამ ბიზნესით დაკავებული პირი არ გამოსულა, საუბარი მაქვს სერიოზულ ავტორიტეტულ ბიზნესმენებზე, რომლებსაც უჭირავთ სერიოზული სტეიკი ამ ბაზარში, არ გამოჩენილან. მოვისმინეთ მხოლოდ ერთი განმარტება, რომ თურმე აგვისტოს თვეში, ნაცვლად 600 ლარისა, ხორბალში გადაიხადეს 740 ლარი, იმ პერიოდში არ გააძვირეს პურზე ფასი და ახლა, როცა ყველგან დავარდა ხორბალზე ფასი, აგვისტოში ძვირად ნაყიდ ხორბალზე ახლა აწიეს ფასები როგორც ფქვილზე, ისე პურზე. ეს საკითხი სერიოზულ კითხვებს ბადებს და საჭიროებს შესაბამისი უწყებების მიერ გარკვევას, თუ რამ განაპირობა ეს ყველაფერი.

– ანუ, არ არსებობს რეალური ახსნა, მიზეზი იმისა, თუ რატომ მოიმატა პურზე ფასმა?

– არ მაქვს ამ კითხვაზე პასუხი, რადგან მე ზემოთ გესაუბრეთ ყველა იმ მიზეზზე, წესით, რაც იწვევს პურზე ფასის მატებას და არც ერთი მათგანი არ გამხდარა საფუძველი ფასის მატების. მეც მაქვს კითხვა, რა მოხდა?! ასე უცებ რამ განაპირობა ფასის ზრდა, გავიღვიძეთ და ჰოპ, ფასი მომატებული დაგვხვდა.

ძალიან უცნაურია, ერთ ღამეში გადაწყვიტეს და მეორე დილიდან პურზე ფასი ერთიანად იმატებს. მე მაინტერესებს, ეს საკითხი ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩარევას ხომ არ თხოულობს?! ან კარტერულ გარიგებას ხომ არ აქვს ადგილი?! დავიჯერო, ყველას ასე ერთბაშად გაუჭირდა?!

– რამდენად შედიოდა დღეს ხელისუფლების ინტერესში მოსახლეობის განაწყენება და პურზე ფასის მატება, თან წინ პრეზიდენტის ინაუგურაციაა.

– ხელისუფლებას შეუძლია გვითხრას, რომ თავისუფალი ბაზარია და მე ამას არ ვაკონტროლებ, ფასწარმოქმნის კონტროლს არ ვახორციელებ. ერთადერთი, რის განხორციელებასაც ხელისუფლება აპირებდა, გადაზიდვის პრობლემაა, ისიც გადაიტანეს შორეულ მომავალში, ამიტომ ხელისუფლება ვერ უბრძანებს მეწარმეებს, რომ მათ ფასი არ გაზარდონ. ამიტომ ჩემთვის ძალიან საინტერესოა, ასე უეცრად რამ განაპირობა პურზე ფასის ზრდა.

– საით მიანიშნებთ, შეიძლება ეს იყოს საბოტაჟი?

– ძალიან უცნაურია, ერთ ღამეში გადაწყვიტეს და მეორე დილიდან პურზე ფასი ერთიანად იმატებს. მე მაინტერესებს, ეს საკითხი ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩარევას ხომ არ თხოულობს?! ან კარტერულ გარიგებას ხომ არ აქვს ადგილი?! დავიჯერო ყველას ასე ერთბაშად გაუჭირდა?!

– თქვენში ეს ყველაფერი კითხვებს ბადებს?

– რასაკვირველია, ბადებს. ასე ერთბაშად არ უნდა მომხდარიყო პურის გაძვირება. რაღაც წინაპირობა უნდა ჰქონოდა ამ პროცესს. განცხადება მაინც გაეკეთებინა ვინმეს, რომ პურზე ფასი მოიმატებს. პირდაპირ ფაქტის წინაშე დაგვაყენეს. ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა აქტიური მუშაობა უნდა გააგრძელოს.

– პურის კომპანიები აცხადებენ, რომ ფქვილზე ფასმა მოიმატა, ერთი ტომარა ფქვილის ფასი 50 ლარი გახდაო.

– ასე ერთბაშად, ასე მოულოდნელად გაძვირება, ვიმეორებ, რომ ეს სერიოზულ ეჭვს ბადებს. ყველა კითხვაზე უნდა გაეცეს პასუხი, რატომ, რა მიზეზით მოხდა ეს. ეკონომიკის სამინისტროც უნდა დაინტერესდეს ამ საკითხით. როდესაც არანაირი ახალი გარემოება არ არსებობს, ფასი მომატების მაგივრად ეცემა, შენ რატომ აძვირებ?! მით უმეტეს, გადაზიდვებთან დაკავშირებული საკითხიც გადაიდო, ასე უცებ რა მოხდა, რა შეიცვალა?! გავიღვიძეთ და იქ, სადაც არ ველოდებოდით ზრდას, სწორედ იქ დაგვხვდა ფასი მომატებული. 50 ლარამდე ზრდა ერთი ტომარა ფქვილის, ეს საკმაოდ სერიოზული ზრდაა. თუ ასე იყო, მაშინ ეს პროგნოზი ეკონომიკის სამინისტროს უნდა ჰქონოდა. თუმცა ამაზე არაფერი თქმულა.

– რამდენად მოყვება პურზე ფასის მატებას სერიოზული პროტესტი მოსახლეობაში? შესაძლოა გაჭირვებულმა ადამიანმა სხვა სახის პროდუქტზე თქვას უარი, მაგრამ პური ხომ ყველა ოჯახს სჭირდება?

– ჩვენ არა ვართ დაზღვეული არაფრისგან, დღეს პურმა მოიმატა, შესაძლოა ხვალ სხვა პროდუქტზე მოიმატოს ფასმა. პანიკა ყველაზე ცუდი რამ არის, რაც შეიძლება ამ წუთში ჰქონდეს მოსახლეობას. პანიკისგან თავის დასაცავად ჩვენ საზოგადოებას უნდა ვუთხრათ სრული ანატომია, სრული სიმართლე, რატომ მოხდა ეს.

– თქვენი აზრით, რატომ მოხდა?

– ამ საკითხში სერიოზულად უნდა ჩაიხედოს ანტიმონოპოლიურმა სამსახურმაც, უნდა გაირკვეს, ეს ხომ არ არის პოლიტიკური თამაშები. ამის გარკვევა ძალიან მნიშვნელოვანია და ზოგადად ყველა ასპექტში უნდა მოხდეს ამ საკითხის გარკვევა. ხომ გეუბნებით, სამი დღის მსოფლიო ბირჟებზე იყო სასწაული ჩამოშლა ფასების. ფასები შემცირდა აბსოლუტურად ყველა პროდუქტზე, ყავის გარდა. ყველა ბირჟაზე ენთო წითელი ფერი ბლუმბერგის მონაცემებით. ეს იყო სრული შოკი ყველასთვის, რომ მსოფლიო ბაზარზე ერთბაშად წავიდა ფასების ვარდნა. ჩვენთან რა მოხდა?! ესენი რას ეყრდნობიან?! შენახული ჰქონდათ ბოღმა, აკუმულირებული ჰქონდათ და ახლა გამოუშვეს?! კონკრეტულად გასცენ ამ კითხვებს პასუხი, რა მოხდა.

– პოლიტიკური თამაშები ახსენეთ საუბრისას და რას გულისხმობდით, რასთან გვაქვს საქმე, საბოტაჟთან?

– ძალიან არ მინდა, რომ ასე იყოს და არც მინდა ეს წამომცდეს. თუმცა ობიექტური მიზეზები რომ ყოფილიყო, გამოვიდოდნენ და ამაზე წინასწარ ისაუბრებდნენ. საბოტაჟიო მეკითხებით, სამწუხაროდ, ვერც ამას გამოვრიცხავ. თუმცა ამის ორგანიზებას საკმაოდ დიდი ძალისხმევა და დიდი ძალა სჭირდება. ეს ადვილი გასაკეთებელი არაა. აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი უწყებები, დაიწყოს ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა გამოძიება.

ბოკერია პურის ფასზე: „რის გამოძიებას ავალებენ, არ იციან, ლარის კურსს რა დაემართა?“

ევროპული საქართველოს პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის გიგა ბოკერიასთვის გაუგებარია პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის დღევანდელი განცხადება პურის ფასის ზრდასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ფასების ზრდის შეფერხებას სჭირდება საწვავზე აქციზის შემცირება.

– რა ორგანოებს ავალებს, რის გამოძიებას ავალებს? არ ვიცით, ან არ იციან, ლარის კურსს რა დაემართა? ან არ იციან, გადასახადების დაწევის ნაცვლად რომ აწიეს გადასახადები, კერძოდ აქციზი? – ამბობს ბოკერია.

მისივე თქმით, ევროპული საქართველო წლების მანძილზე ურჩევდა მთავრობას, რომ ლარის კურსის დასტაბილურებასა და ფასების ზრდის შეფერხებას სჭირდება გადასახადების დაწევა. ბოკერიას შეფასებით, ამის ნაცვლად, გრძელდება გადასახადების ზრდა, კერძოდ, საწვავის აქციზზე.

– ახლა გამოდის და უტიფრად კითხვას სვამს, გამოდის, რომ რაღაც შეთქმულების თეორიას გვთავაზობს კვლავ... ისევ ილაპარაკა „აწარმოე საქართველოზე“, იმის მაგივრად, რომ ბაზარს და ხალხს დაუბრუნოს ეს ფული და არ შეუწყოს ხელი ფასების ზრდას, მათ შორის პურზე, ამის მაგივრად ამ ფულს ართმევენ, შემდეგ ამ ფულთან მიმართებაში გვაქვს კორუფციული ნეპოტისტური გარიგებები ან გაფლანგვა ან მავნებლური პროექტები. ძალიან მარტივი საკითხია, ფასების ზრდის შეფერხებას სჭირდება, მაგალითად, საწვავზე აქციზის შემცირება, ან განახევრება, ან გაუქმება ან მინიმუმ იმ ზღვრამდე ჩამოწევა, სანამ „ქართული ოცნება“ მას გაზრდიდა, იმიტომ, რომ საფლანგავი ფული ნეპოტიზმის და კორუფციისთვის. დღეს რაც შემოგვთავაზა, არის კიდევ ერთი უტიფრობის შეთავაზება საზოგადოებისთვის, – აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

ცნობისთვის, პრემიერ მამუკა ბახტაძის შეფასებით, პურის ფასის ზრდა შესაძლოა არასამართლიან კონკურენციას უკავშირდებოდეს. ბახტაძემ შესაბამის ორგანოებს დაავალა, უმოკლეს ვადაში დაადგინონ – რა ხდება ამ მიმართულებით.

პურის ფასმა 5-10 თეთრით მოიმატა. პურ-პროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარის მალხაზ დოლიძის თქმით, ზაფხულის პერიოდთან შედარებით ერთი ტომარა ფქვილი 32%-ით გაძვირდა.

„წარმოუდგენელია, ოქროს საბადო გქონდეს და მისი სწორად გამოყენება არ იცოდე“

ევროპაში კავკასიური სოჭის ნაძვის თესლზე მოთხოვნას ადგილობრივი კომპანიების მხრიდან მიწოდება აჭარბებს, რის გამოც ბაზარზე გარკვეული პრობლემებია. როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ საერთაშორისო ორგანიზაცია Fair trade-ის ნიშნის ქვეშ მყოფი კომპანია Fair trees-ის მენეჯერმა ჟანა ბაბუნაშვილმა განუცხადა, საქართველოს ბაზარზე დაახლოებით 12-მდე კომპანიაა, რომელიც თესლს სტანდარტების გვერდის ავლით აწარმოებს, რეალურად კი ფასსაც აგდებს და ხარისხსაც, რაც საქართველოსთვის ცუდი შედეგის მომტანი იქნება.

საერთაშორისო ორგანიზაცია Fair trade-ის ნიშნის ქვეშ მყოფმა კომპანიამ Fair trees 2009 წელს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ აუქციონზე უნიკალური ნორდმანის ნაძვის ხის გირჩის მოპოვების ათწლიანი ლიცენზია შეიძინა და მას შემდეგ დანიაში ორგანული თესლის ოფიციალური დილერი გახდა. გირჩი იკრიფება, შრება და შემდეგ ხდება მიღებული თესლის ექსპორტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროპაში გაყიდული ნაძვის ხეების 90%-ზე მეტი სწორედ ქართული წარმოშობისაა.



Fair trees-ის მენეჯერი ჟანა ბაბუნაშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ევროპის ბაზარზე 200 ტონა კავკასიური სოჭის თესლზეა მოთხოვნაა, მაგრამ დაახლოებით 300 ტონა გადის.

კონკრეტულად კი Fair trees ამ ეტაპზე 5 ტონა გირჩის ექსპორტს ახორციელებს, თუმცა, როგორც ჟანა ბაბუნაშვილი ამბობს, არაკონკურენტული გარემოს გამო, გასულ წლებთან შედარებით, მათი კომპანიის პროდუქციის ექსპორტი შემცირებულია.

– გირჩის ჭარბი მიწოდება სავარაუდოდ იმიტომ ხდება, რომ ზოგიერთი კომპანია, თესლს ჩვენზე გაცილებით იაფად მოიპოვებს და ცდილობს, მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული რესურსი. რეალურად, ეს აფუჭებს ბაზარს, ფასსაც აგდებს და ხარისხსაც. ყველა ნორმის დაცვით, ჩვენ გაცილებით ძვირი გვიჯდება გირჩის მოპოვება, ამ დროს კი არიან კომპანიები (დაახლოებით 12 კომპანია), ე.წ. ლიცენზიანტები, რომლებიც ამ ნორმებს არ იცავენ და გაცილებით იაფი უჯდებათ თესლის მოპოვება. ჩვენთვის მთავარი არ არის რამდენს მოვკრეფთ, მთავარია ხარისხი. ნელ-ნელა ვიწყებთ და ყველაზე გვიან ვამთავრებთ კრეფას, იმიტომ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, გირჩი ხმება და ხელის შეხებაზეც კი იშლება. ამიტომ, რაოდენობასთან დაკავშირებით, წინასწარ გეგმავს ვერასდროს ვადგენთ. ვარჩევ საუკეთესოებს და ამ ეტაპზე, დაახლოებით, 5 ტონის ექსპორტს ვახორციელებთ, – აცხადებს ჟანა ბაბუნაშვილი, რომელიც „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნული პრობლემის მთავარ მიზეზად რეგულაციების არარსებობას ასახელებს.

– გირჩის მოპოვებასთან დაკავშირებით საქართველოში არ არსებობს არანაირი რეგულაცია, რომელიც კრძალავს ლიცენზირებული კომპანიის კვარტალიდან სხვის მიერ გირჩის კრეფას, ანუ გამოდის, რომ რამდენიმე წლის წინ კომპანიამ ტყუილად გადაიხადა ლიცენზიაში ამდენი ფული და, სინამდვილეში, სადაც გინდა, გირჩს იქ მოიპოვებ. გამოდის, მხოლოდ ჩვენნაირი ადამიანები ზარალდებიან, ვინც ხარისხზე მუშაობს, შესაბამის აღჭურვილობას ყიდულობს, დასაქმებულებისა და მათი ოჯახის წევრების სიცოცხლეს აზღვევს, გერმანიიდან ტრენერები ჩამოჰყავს, სოციალურ პროექტებს ახორციელებს და ა.შ. ამ დროს ვიღაც, მისთვის სასურველ კვარტალში შიშველი ხელებით კრეფს გირჩს, არანაირ სტანდარტს არ იცავს, მუშა-ხელს მიზერულ თანხას უხდის და არავინ არაფერს ეუბნება. შემდეგ მივდივართ ჩვენს კვარტალში გვხვდება გაკრეფილი ტყე და არანაირი ბერკეტი არ გვაქვს, რომ ვინმეს პასუხი მოვთხოვოთ. ასეთი კომპანიები „ქერის ორმოში“ არიან და რატომ გადაიხდიან ზედმეტ ფულს?! საჭიროა კონტროლი. ასე განვითარდა ყველა ქვეყანა, მათ შორის დანიაც. წარმოუდგენელია, ოქროს საბადო გქონდეს და მისი სწორად გამოყენება არ იცოდე, – აცხადებს ჟანა ბაბუნაშვილი.

მისივე ინფორმაციით, სულ მალე ნაძვის ხის გირჩის მოპოვების ლიცენზიასაც ვადა გასდის, თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან მოხდება თუ არა მისი კიდევ გახანგრძლივება, ამ ეტაპზე უცნობია.

– ჩვენს ლიცენზიას 2 წელიწადში გასდის ვადა, თუმცა სახელმწიფო არ გვეუბნება, აპირებს თუ არა კიდევ ლიცენზიის გაცემას. ხომ უნდა ვიცოდეთ მათი პოზიცია! – აღნიშნავს ჟანა ბაბუნაშვილი.

bpn.ge

წყნეთში სპეციალური პენიტენციური სამსახურის ყოფილი უფროსი ზვიად მიხანაშვილი ყოფილმა პატიმარმა დაჭრა

9 დეკემბერს, გვიან ღამით, წყნეთში სპეციალური პენიტენციური სამსახურის ყოფილი უფროსი ზვიად მიხანაშვილი დაჭრეს.

ყოფილი მაღალჩინოსანი საავადმყოფოშია მოთავსებული. მედიკოსთა თქმით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თვითმხილველების თქმით, სისხლიანი გარჩევა რესტორან „წისქვილთან“ მოხდა.

არსებული ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ყოფილი უფროსი ყოფილმა პატიმარმა დაჭრა.

მიხანაშვილის დაჭრის ფაქტი „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში დაუდასტურეს.

უწყების ცნობით, შემთხვევის შედეგად 3 ადამიანია დაჭრილი. მომხდარ ფაქტზე 117-ე მუხლით დაიწყო გამოძიება, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

შს სამინისტროში აღნიშნავენ, რომ დადგენილია სავარაუდო დამნაშავე და საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

რუსთავში ქალებმა კაცს დაუდგენელი სასმელი დაალევინეს და 5.000 ლარი მოპარეს

რუსთავში, კოსტავას გამზირზე, 50 წლამდე მამაკაცი უგონო მდგომარეობაში ნახეს და ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„ინფო რუსთავი“-ს ინფორმაციით, ორმა ახალგაზრდა ქალმა ალკოჰოლურ სასმელში დაუდგენელი ნივთიერება შეურია, სასმელი მამაკაცს მოტყუებით დაალევინეს, რის შემდეგაც მან გონება დაკარგა. სიტუაციით ქალებმა ისარგებლეს და მამაკაცი გაქურდეს.

ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი ღამის საათებში 2 გოგოსთან ერთად კოსტავას გამზირზე გადაადგილდებოდა, მაღაზიაში ალკოჰოლური სასმელი და ტკბილეული შეიძინა, რის შემდეგად ტერიტორია დატოვა, მოგვიანებით კი ის ქუჩაში უგონო მდგომარეობაში ნახეს.

მამაკაცი მძიმე ინტოქსიკაციით, რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამედიცინო დაწესებულებაში განაცხადეს, რომ პაციენტმა ერთი დღე რეანიმაციულ განყოფილებაში გაატარა, ხოლო ამ ეტაპზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ირკვევა, რომ 50 წლამდე მამაკაცს თან 5.000 ლარამდე თანხა ჰქონდა, თუმცა გონებაზე მოსვლის შემდეგ მან ფული ვეღარ ნახა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს სსკ 115 მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცმა პოლიციაში არ განაცხადა, რომ ის ქალებმა გაქურდეს.

აფეთქება ქუთაისში — დაშავდა 75 წლის მოხუცი

ქუთაისში, ახალგაზრდობის ქუჩაზე ძლიერი აფეთქება მოხდა,

აფეთქება მრავალბინიანი კორპუსის მე-4 სართულზე მოხდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, აფეთქებას მცირედი ნგრევა მოჰყვა.

ბინაში აფეთქება ბუნებრივი აირის გაჟონვამ გამოიწვია, რის შედეგადაც სახლში მყოფი 75 წლის მამაკაცი დაშავდა.

ის სხეულის დამწვრობით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

მარტვილში მესაფლავეებმა 1 ქოთანი ოქროს მონეტები იპოვეს და ლომბარდში 11 ათასად ჩააბარეს

მთელი კოლექცია 1 მილიონადაა შეფასებული

მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში მესაფლავეებმა ერთი ქოთანი ოქროს მონეტები იპოვეს, რომელიც ქუთაისში ლომბარდში 11 ათას ლარად ჩააბარეს.

ამ ინფორმაციას „თაიმერი“ ავრცელებს,

მონეტები, სავარაუდოდ, შუა საუკუნეებს განეკუთვნება და დაახლოებით მილიონ ლარამდეა მათი ღირებულება.

სულ ნაპოვნია 30 მონეტა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მარტვილის რაიონულ სამმართველოში შემოვიდა შეტყობინება, რომ სოფელ ბანძაში მოქალაქეებმა საფლავის გათხრისას ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვა ნივთები იპოვეს.

ფაქტის დასადგენად გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით, რაც ნივთის ფარულად დაუფლებას გულისხმობს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 24 ნოემბერს ადგილობრივი გარდაცვლილი პირის დასაკრძალად საფლავის გათხრისას მოქალაქეებმა თიხის ქოთანი იპოვეს, რომელშიც მოთავსებული იყო ოქროს და ვერცხლის მონეტები.

გარდაცვლილი პირის ოჯახმა, რომელსაც მპოვნელებმა ნივთების ნაწილი გადასცეს, ოქროს და ვერცხლის ნივთები ადგილობრივ მუზეუმს გადასცა, სხვა ნაპოვნი ნივთები კი ნივთების მპოვნელმა მოქალაქეებმა ქალაქ ქუთაისში კონკრეტული თანხის სანაცვლოდ ჩააბარეს ოქროს ნივთების სავაჭრო ობიექტში.

საქმეზე ჩატარებული ოპერატიული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველების მიერ სრულად ამოღებულია ფულის სანაცვლოდ ჩაბარებული ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ასევე გამოძიების ფარგლებში ექსპერტიზის მიზნით ამოღებულია მუზეუმისთვის გადაცემული ნივთები და ყველა ნივთი ამ დროისთვის დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ნივთმტკიცებებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ოთახში.

მიმდინარეობს კონსულტაციები კულტურის სამინისტროსთან, რათა სათანადო ექსპერტიზის მეშვეობით დადგინდეს ნაპოვნი ოქროსა და ვერცხლის ნივთების დათარიღებისა და შეფასების საკითხი.

ასევე ფაქტთან დაკავშირებით გრძელდება აქტიურ საგამოძიებო მოქმედებები.

თამარ გამრეკელაშვილის მკვლელობისთვის ვეფხია ბაქრაძეს უვადო პატიმრობა მიესაჯა

გუშინ, 10 დეკემბერს, სასამართლომ ბარნოვზე, 25 წლის თამარ გამრეკელაშვილის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ მის მამინაცვალს, ვეფხია ბაქრაძეს, განაჩენი გამოუტანა.

მას თბილისის საქალაქო სასამართლომ უვადოდ თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძემ გამოაცხადა.

დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დაკავებულ თეიმურაზ ბაქრაძეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

შეგახსენებთ, რომ თაკო გამრეკელაშვილი მიმდინარე წლის 13 აპრილს, თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე მოკლეს. მას ყელი ჰქონდა გამოჭრილი.

აღნიშნულ დანაშაულზე სამართალდამცავებმა მოკლულის მამინაცვალი, ვეფხია ბაქრაძე 14 აპრილს, თელეთში დააკავეს. ის მიმალვაში იმყოფებოდა.

გამოძიება 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილ განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებაში გულისხმობს. აღნიშნული მუხლი 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

* * *

ბრალდების მხარეს იმდენი მტკიცებულებები ჰქონდა წარდგენილი, რაც საკმარისი იყო გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებს საქმის პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა განუცხადა.

– დღევანდელ სასამართლო სხდომაზე დასრულდა პროცესი, რომელიც უკანასკნელი თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა. საქმე შეეხებოდა ვეფხია ბაქრაძის მხრიდან თამარ გამრეკელაშვილის განზრახ მკვლელობას განსაკუთრებული სისასტიკით, მის მიერ ჩადენილ სხვადასხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებებს.

ვეფხია ბაქრაძე სასამართლომ დამნაშავედ ცნო სსკ-ის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას განსაკუთრებული სისასტიკით ოჯახის წევრის მიმართ.

მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა უვადოდ.

ბრალდების მხარეს იმდენი მტკიცებულებები ჰქონდა წარდგენილი, რაც საკმარისი იყო გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

რაც შეეხება სასჯელის ზომას, სასამართლომ სრულიად სამართლიანად გაიზიარა ბრალდებულის პიროვნება, ასევე მის მიერ ჩადენილი ქმედების მოტივი და ხასიათი. შესაბამისად, მკაცრი სასჯელიც ამის გამოა განპირობებული, – განაცხადა შაიშმელაშვილმა.

* * *

სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ვეფხია ბაქრაძე იმსახურებდა ამ სასჯელს.

აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებს თამარ გამრეკელაშვილის დედამ, ნათელა გობაძემ, განაჩენის გამოცხადების შემდეგ განუცხადა.

– სწორი გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლემ, პროკურატურამ, გამოძიებამ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ, რომ სწორად წაიყვანეს ეს პროცესი. კანონი არსებობს. ამ გადაწყვეტილებას ნამდვილად ველოდით, რომ მიიღებდა პროკურორიც და მოსამართლეც.

მოსამართლეს არ დაუსახელებია, კონკრეტულად რა დეტალებში გამტყუნდა, ან გამართლდა ჩემთან მიმართებით, მაგრამ, რაც მთავარია, სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, – ნათელა განაცხადა გობაძემ.

ახალი წლის ღამეს მთის კურორტებზე სასტუმროს ფასები 260 დოლარიდან 607 დოლარამდე იქნება

საქართველოში მთის კურორტების მოქმედი პრემიუმ კლასის სასტუმროები მომხმარებელს საახალწლო პაკეტებს უკვე სთავაზობენ. საახალწლო ღამის გატარება, ტრადიციულად, ჩვეულებრივი დღეებისგან განსხვავდება, რადგან ამ პერიოდში საფასო პოლიტიკა შედარებით მაღალია და მომსახურება უფრო მრავალფეროვანი.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა ღირს ახალი წლის გატარება, საქართველოს მთის კურორტების პრემიუმ კლასის სასტუმროებში და რას სთავაზობენ ისინი ქართველ თუ უცხოელ მომხმარებელს? როგორც აღმოჩნდა სასტუმროების უმეტესობა სრულად 100%-ით უკვე დაჯავშნილია. ხოლო საშუალოდ სასტუმროში საახალწლო ღამის გატარება 260 დოლარიდან 607 დოლარამე მერყეობს. ახალ წელს ქართულ სასტუმროებში ყველაზე მეტი ტურისტი პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან იქნება.

სასტუმრო „მარკო პოლოს“ გაყიდვების დირექტორმა ირაკლი მამფორიამ „კომერსანტთან“ საუბრისას განაცხადა, რომ ჩვეულებრივთან შედარებით ახალ წელს „მარკო პოლოში“ ნომრის ფასი 30%-ით იზრდება. მისივე განცხადებით, ამ ეტაპზე სასტუმროს 100%-ი უკვე დაჯავშნილია.

– საახალწლოდ ნომრის ფასები 252 დოლარიდან იწყება და 607 დოლარამდე მერყეობს. მომხმარებლების 95% უცხოელები არიან და ამ მიმართულებით პოსტსაბჭოთა ქვეყნები ლიდერობენ. წინასაახალწლოდ დატვირთული პროგრამა გვექნება, რასაც მომხმარებელს სამომავლოდ გავაცნობთ, – განაცხადა ირაკლი მამფორიამ.

„რუმს ყაზბეგის“ მენეჯერის ტატა ჭუმბურიძის განცხადებით, ამ ეტაპზე სასტუმროს 80% უკვე დაჯავშნილია, ხოლო შარშანდელთან შედარებით „რუმს ყაზბეგში“ ფასებმა უცხოეთის მოქალაქეებისთვის დაახლოებით 400 დოლარით იმატა. მენეჯერის განცხადებით, ქართველებისგან განსხვავებით, უცხოელებს ნომერში მაღალი ფასის გადახდა შეუძლიათ.

– რუმსში ახალი წლის ღამეს ნომრის ფასი 300 დოლარიდან დაიწყება და მასში საახალწლო პროგრამაზე დასწრებაც შედის. ნომრის ფასები 600 დოლარამდე მერყეობს. ახალი წლის ღამეს პროგრამას ვგეგმავთ და ამას ჩვენთან მოსული სტუმარი იხილავს, – განმარტა „რუმს ყაზბეგის“ მენეჯერმა.

როგორც მესტიაში მდებარე სასტუმრო „თეთნულდის“ ადმინისტრაციაში „კომერსანტს“ განუცხადეს, ახალი წლის დღეებში სასტუმროს 100%-ი უკვე დაჯავშნილია და ფასები 90 დოლარიდან -180 დოლარამდე მერყეობს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „თეთნულდში“ ებრაელები სჭარბობენ.

რაც შეეხება გუდაურში მდებარე სასტუმრო „ქუადრუმს“. სასტუმროს პროექტის ხელმძღვანელის ირაკლი ერისთავის განცხადებით, მათთან ფასები 80 დოლარიდან იწყება და 200 დოლარამდე მერყეობს, ხოლო საახალწლოდ აღნიშნული ფასები 25%-ით იზრდება.

– ჩვენთან ნომრები 100%-ით უკვე დაჯავშნილია. ფასების ზრდას რაც შეეხება, ეს საახალწლო პროგრამაზეცაა დამოკიდებული. წელს ყველაზე მეტ სტუმარს რუსეთიდან და უკრაინიდან ველოდებით, – აღნიშნა ირაკლი ერისთავმა.

„ამერიკელების ცხოვრება აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო“

შეცვლის თუ არა ბრეტ კავანო ლიბერალურ გადაწყვეტილებებს

„სირცხვილი“, „უნდა წავიდეს“, „მოძალადე...“ – ყვიროდნენ აქციებზე ბრეტ კავანოს მოწინააღმდეგეები, მას შამანური შელოცვები და რიტუალებიც კი ჩაუტარეს, წყევლეს, ლანძღეს, მაგრამ არაფერმა გაჭრა, ის დღეს მაინც ამერიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა.

8 ოქტომბერს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის რჩეული კანდიდატი ამერიკის სენატმა 50 ხმით 48-ის წინააღმდეგ მოსამართლედ დაამტკიცა. მან ფიცი იმავე დღეს დადო და მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

რატომ არის ეს პოსტი ასე მნიშვნელოვანი ამერიკისთვის?

პირველ რიგში, იმიტომ, რომ უზენაეს სასამართლოს დიდი წვლილი მიუძღვის ამ სახელმწიფოს განვითარებაში და იცავს იმ პრინციპებს, რომლებზეც ამერიკაა დაფუძნებული. ის 1789 წელს დაარსდა და მას შემდეგ აშშ-ის მმართველობის განუყოფელი ნაწილია.

აშშ-ის უზენაესი სასამართლო 9 მოსამართლისგან შედგება, რომლებსაც პრეზიდენტი წარადგენს და სენატი ამტკიცებს. მათ ეს პოსტი სიცოცხლის ბოლომდე ან გადადგომამდე უჭირავთ.

ამ ორგანოში მიმდინარე ცვლილებები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს ამერიკულ საზოგადოებაში, რადგან აშშ-ის სამართლებრივ სისტემაში მას ბოლო სიტყვა ეთქმის და გადამწყვეტი ხმა აქვს ისეთ სენსიტიურ საკითხებში, როგორებიცაა აბორტი, გენდერული თანასწორობა, ერთსქესიანთა ქორწინებები, იარაღის კონტროლი, არჩევნების წესები და სხვა. ამიტომაც პოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა შეხედულებების მოსამართლეები სჭარბობენ ამ სასამართლოს შემადგენლობაში – კონსერვატორები თუ ლიბერალები.

კენედის არჩევანი

ყველაფერი ივნისში დაიწყო, როცა რესპუბლიკელმა მოსამართლემ, ენტონი კენედიმ, რომელსაც ეს თანამდებობა 1988 წლიდან ეჭირა, პოსტის დატოვება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადაწყვიტა. ამ დროს სასამართლოში 4 დემოკრატი და 5 რესპუბლიკელი მოსამართლე იყო.

კონსერვატიული შეხედულებების მიუხედავად, კენედი მერყევი მოსამართლე იყო და ბევრი ისეთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული, რომლებსაც მისი თანაპარტიელები ეწინააღმდეგებოდნენ. მაგალითად, 2015 წელს მან მხარი დაუჭირა აშშ-ში ერთსქესიან წყვილთა ქორწინების დაკანონებას, რითიც კონსერვატორების შეხედულებების წინააღმდეგ წავიდა. ამ პროცესში სწორედ მისი ხმა აღმოჩნდა გადამწყვეტი და ეს საქმე მისი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად იქცა.

ბრეტ კავანოს გზა

ბრეტ კავანო 1965 წელს ვაშინგტონში დაიბადა. ის სკოლაში კალათბურთის გუნდის კაპიტანი



კრისტინა ფორდი და ბრეტ კავანო

იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა იელის უნივერსიტეტში გააგრძელა, სადაც ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები აიღო. ამის შემდეგ მან ადვოკატად დაიწყო მუშაობა. 1993 წელს ენტონი კენედის ოფისში კლერკი იყო. 2003-2006 წლებში თეთრ სახლში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მდივნად მუშაობდა, 2006-2018 წლებში – კოლუმბიის ოლქის უზენაეს მოსამართლედ.

ამ სასამართლოში 2003-2018 წლებში ყველაზე მეტი კონსერვატული გადაწყვეტილება კავანოს ეკუთვნოდა. მათი გადახედვა უზენაეს სასამართლოში 14-ჯერ მოხდა, აქედან მხოლოდ ერთხელ მიიღეს განსხვავებული გადაწყვეტილება, რამაც კავანოს რეპუტაციაზე დადებითად იმოქმედა და ის უზენაესი მოსამართლეების პოტენციურ სიაში მოხვდა.

კავანო 2004 წელს დაქორწინდა ეშლი ესთესზე, რომელიც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის პირადი მდივანი იყო. წყვილი მერილენდში ცხოვრობს და ორი შვილი ჰყავთ.

სკანდალების გმირი

კავანოს კანდიდატურა მიღებად მიიჩნეოდა მანამდე, სანამ პალო ალტოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი, კრისტინა ბლაზი ფორდი სკანდალურ განცხადებას არ გააკეთებდა. ის „ვაშინგტონ პოსტს“ დაუკავშირდა და კავანოს სექსუალურ ძალადობაში დასდო ბრალი.

ფორდის ინფორმაციით, როდესაც ისინი სკოლაში სწავლობდნენ, კავანომ მასზე იძალადა. ამ დროს კავანოსთან ერთად იყო მისი მეგობარი მარკ ჯადი. ფორდის მტკიცებით, ორივენი ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ.

ამ ბრალდებას მოსამართლემ მალევე უპასუხა და განაცხადა:

– ამ ბრალდებებს კატეგორიულად უარვყოფ. მსგავსი რამ არც სკოლაში და არც მას შემდეგ არ ჩამიდენია.

სექსუალურ შევიწროებაში კავანოს კიდევ ორმა ქალმა დასდო ბრალი – დებორა რამირესმა და ჯული სვეტნიკმა.

ამ ბრალდებებს მოჰყვა გამოძიების ფედერალური ბიუროს გამოძიება და სენატის კომიტეტის მიერ კავანოსა და ფორდის დაკითხვა, რომელიც 10 საათზე მეტხანს გაგრძელდა.

ამ დაკითხვის პარალელურად კონგრესის შენობის გარეთ საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა. კავანოს კანდიდატურის მოხსნას უამრავი ადამიანი ითხოვდა. ნაწილმა შენობაში შეჭრაც სცადა, რასაც აქციის მონაწილეთა დაკავება მოჰყვა.

კავანოს საწინააღმდეგო კამპანიაში შოუბიზნესის ცნობილი სახეებიც ჩაერთნენ. მომღერალმა და მსახიობმა შერილ ტვიტერში დაწერა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ბრეტ კავანოს დანიშვნა გამოიწვევდა ლგბტ ადამიანების რეპრესიებს, ფერადკანიანი ხალხისთვის ხმის უფლების ჩამორთმევას და ტრამპისთვის სისხლის სამართლის დევნისგან იმუნიტეტის მინიჭებას. „ამერიკელების ცხოვრება აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო“, – დაწერა შერილ.

კავანოს წინააღმდეგ მტკიცებულებები ვერ მოიძებნა, ამის მიზეზად გამომძიებლებმა სავარაუდო დანაშაულის ჩადენიდან დიდი დროის გასვლა (35 წელი) დაასახელეს. ამ გამოძიებას დემოკრატი სენატორების უმრავლესობა აკრიტიკებდა. ისინი ამბობდნენ, რომ ის სიღრმისეულად არ იყო ჩატარებული.

კავანოს მეგობარმა, მარკ ჯუდმა ჩვენების მიცემაზე უარი თქვა, მიზეზად კი მისი ალკოჰოლზე დამოკიდებულება დაასახელა.

კიდევ ერთი ბრალდება

მოსამართლის კურსელების ინფორმაციით, კავანო ბევრჯერ ყოფილა ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ იელის უნივერსიტეტში და მან ერთხელ ბარში იჩხუბა კიდეც.

კავანომ სენატის სპეციალური კომიტეტის წინაშე აღიარა, რომ ახალგაზრდობაში ლუდს სვამდა და ხანდახან ზედმეტიც მოსდიოდა, თუმცა თავდაპირველად ის ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემების ქონას უარყოფდა. საინტერესო იყო ამ საკითხზე ტრამპის კომენტარი.

– ჩემი ერთადერთი დადებითი თვისებაა, რომ არ ვსვამ. ლუდი არასოდეს დამილევია, ამა თუ იმ მიზეზით არასოდეს მიმიღია ალკოჰოლი. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა საშინელება ვიქნები, რომ ვსვამდე? ყველაზე უარესი ვიქნები მსოფლიოში.

კავანომ აღიარა, რომ ახალგაზრდობაში სირთულეები ჰქონდა სასმელთან. მისთვის არ უკითხავთ, ჰქონია თუ არა პრობლემები ალკოჰოლთან ბოლო 20 წლის განმავლობაში, იმიტომ, რომ დიდი ხანია, მასზე ცუდი არავის უთქვამს, – განაცხადა ტრამპმა.

ტრამპი ალკოჰოლს მართლაც არასდროს სვამს, რადგან მისი ძმა ფრედ ტრამპი ალკოჰოლიზმით იყო დაავადებული და 43 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ყველაზე კონსერვატული მოსამართლე

ბატალიები დასრულდა. კავანო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა. ჯერჯერობით მას არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიუღია. თუმცა უკვე საუბრობენ, რომ ის იქნება ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატული მოსამართლე ამჟამინდელ შემადგენლობაში და მან შეიძლება ბევრი იმ ლიბერალური გადაწყვეტილების შეცვლა გამოიწვიოს, რომლებიც სასამართლომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მიიღო.

დაბოლოს: კავანოს დამტკიცების შემდეგ კრისტინა ფორდმა სამსახური დატოვა. როგორც მისმა მეგობარმა განაცხადა, ფორდი თავისი ჩვენების შემდეგ მუდმივად იღებდა მუქარებს, ამიტომ საკუთარი უსაფრთხოების მიზნით უნივერსიტეტიდან წავიდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კავანო არაა უზენაესი სასამართლოს პირველი მოსამართლე, რომლის წინააღმდეგაც ამგვარი ბრალდებები იყო. 1991 წელს ქლერენს ტომასს ანიტა ჰილმა სექსუალურ შევიწროებაში დასდო ბრალი. ეს საქმე ტომასის გამარჯვებით დასრულდა. ის დღესაც მოსამართლეა, ანიტა ჰილი კი ბრაედნაისის უნივერსიტეტის ლექტორი და ადამიანის უფლებათა დამცველია.

მოამზადა ელენე გოგალაძემ

სომხეთი: პაშინიანმა უმრავლესობა მოიპოვა

სომხეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. პრემიერის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლ პაშინიანის ბლოკმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მან ხმების 70% მიიღო.

ამრიგად, დამოუკიდებლობის 25 წლის პერიოდში პირველად, სომხეთის პარლამენტში რეფორმატორებმა უმრავლესობა მოიპოვეს.

რესპუბლიკური პარტია, რომელიც მანამდე მმართველ ძალას წარმოადგენდა, ახლა პარლამენტში ვერ მოხვდება. მან 5%-იანი ბლოკის დაძლევა ვერ შეძლო.

პარლამენტში ხვდებიან ბლოკი „მდიდარი სომხეთი“ (8%) და „განათლებული სომხეთი“ (7%).

ამერიკელ დემოკრატებს ტრამპის იმპიჩმენტი სურთ

სენატორმა დემოკრატმა ნადლერმა განაცხადა, რომ ტრამპმა თავის გარშემო ყალთაბანდები შემოიკრიბა, შევიდა ფარულ კავშირში რუსებთან და არჩევნებშიც ამის წყალობით გაიმარჯვა.

– არ გამოვრიცხავ, რომ კონგრესში სპეციალური მოსმენები გაიმართოს, რასაც ტრამპის იმპიჩმენტი მოჰყვება, – ამბობს ნადლერი.

რესპუბლიკური პარტია ტრამპს მხარს მტკიცედ უჭერს. სენატი რესპუბლიკელთა კონტროლს ქვეშაა. შესაბამისად, იმპიჩმენტის მექანიზმის ამუშავება ამ ეტაპზე ფრიად პრობლემატური იქნება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

არეულობა საფრანგეთში რუსეთის მოწყობილია?

საფრანგეთში მომხდარ გამოსვლებში რუსული კვალი გამოჩნდა. ამის თაობაზე მსოფლიოს პრესა წერს.

საქმე მხოლოდ იმაში როდია, რომ მანიფესტანტები წითელ, ასევე ე.წ. დონეცკ– ლუგანსკის რესპუბლიკის დროშებს აფრიალებდნენ, ან რუსული მარშების მოტივებზე ცეკვავდნენ. აღსანიშნავია, რომ უცნობმა ვანდალებმა პარიზში უკრაინული კულტურის ცენტრი დაარბიეს. არსებობს მონაცემები, რომლებიდანაც ჩანს, რომ ამ აქციების ორგანიზებაში რუსეთის დაზვერვის ოფიცრები მონაწილეობდნენ.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლე ბრიანმა თავის ინტერვიუში არ გამორიცხა, რომ პარიზში ან სხვა ქალაქებში მომხდარი ექსცესები რუსებმა მოაწყვეს.

– მიმდინარეობს გამოძიება. ის ყველაფერს ნათელს მოჰფენს, – ამბობს ლე ბრიანი.

საუდის არაბეთი თურქეთს ჰაშოგის მკვლელობაში ეჭვმიტანილს არ გადასცემს

საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალ ჯუბაირიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა თურქეთს ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობაში ეჭვმიტანილს ჯერჯერობით არ გადასცემს.

– გამოძიება არ დამთავრებულა! სანამ სიმართლე არ დადგინდება, რაიმე გადაცემაზე ლაპარაკი ზედმეტია, – ამბობს ალ ჯუბაირი.

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ქუთაისი დამარცხდა, ლიდერი ოლიმპია

ქუთაისი-მგზავრები 78:80
(16:21, 25:19, 20:20, 17:20)

იმერეთის მთავარ ქალაქს მგზავრები ეწვია და ჩემპიონატის ერთადერთ წაუგებელ გუნდ ქუთაისს პირველი მარცხი შეამთხვია. შეხვედრა თანაბარი, დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რომლის ბედიც ბოლო წამებზე გადაწყდა, მანამდე კი ორივე გუნდი ინარჩუნებდა მოგების შანსს.

მგზავრებმა დაიმატა კონგოელი ცენტრი, კრისტიან მუსოკო, რომელმაც პირველად ქუთაისში ითამაშა და თავისი გუნდის გამარჯვებაში საკმაოდ სოლიდური წილი დაიდო. პირველი პერიოდი სტუმრებმა 5 ქულით მოიგეს, ხოლო მეორეში ქუთაისელებმა იძალეს და დეჟან რაიტისა და ჯონათან ლის შედეგიანობით დიდი შესვენებისთვის ლიდერობა მოიპოვეს – 41:40.

მესამე პერიოდი ფრედ – 20:20 დასრულდა და ყველაფერი ბოლო მეოთხედში გადასაწყვეტი გახდა. ბრძოლა ბოლო წამებამდე გაგრძელდა. ქუთაისი გამარჯვებასთან ახლოს იყო: დეჟან რაიტის ზუსტი ორქულიანის შემდეგ, მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 4 ქულით დაწინაურდა. სტუმრებმა კახა ჯინჭარაძისა და ჯეიკობ არმსტრონგის ორქულიანებით თამაშის დასრულებამდე 1:20 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრეს.

ქუთაისელებს ერთ შეტევაში ორჯერ მიეცათ დაწინაურების შანსი, მაგრამ გიორგი ბარბაქაძემ ჯერ სამიანი, შემდეგ კი ორქულიანი ააცილა. ამით ისარგებლა სტუმართა სნაიპერმა, რეზო ჩაჩანიძემ, რომელმაც 3-ქულიანით მგზავრები 79:76 დააწინაურა. ქუთაისელთა უკანახაზელმა, ლევან ფაცაციამ 2 საჯარიმოთი მატჩის დასრულებამდე 25 წამით ადრე ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა, რის შემდეგაც სოსო გოგნაძემ 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 80:78.

ბოლო შეტევაში მასპინძლებს ორჯერ მიეცათ გათანაბრების შანსი, თუმცა რაიტისა და აკაკი დვალიშვილის სროლებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. 2 მარცხის მქონე მგზავრებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს და ცხრილში მდგომარეობა გაიუმჯობესეს.

გამარჯვებულებს 20 ქულით არმსტრონგმა ულიდერა. 19 ქულა ადრიან ბოუიმ ჩააგდო, ხოლო ახალწვეულმა კრისტიამ მუსოკომ მგზავრებს 12 ქულა შემატა. ქუთაისში 25 ქულით საუკეთესო იყო დეჟან რაიტი, ჯონათან ლიმ 16 ქულა მოაგროვა, ხოლო აკაკი დვალიშვილმა 13 ქულა და 8 მოხსნა.

დელტა-ოლიმპი 64:66
(19:13, 13:16, 19:13, 13:24)

ტურის ცენტრალური მატჩის ბედი დაძაბულ ფინალში, ბოლო წამზე გადაწყდა. დელტა თითქმის მთელი მატჩის მანძილზე უგებდა ოლიმპს, თუმცა დიმიტრი ჯაკობოვის გაწვრთნილმა გუნდმა საფინალო სირენის თანხლებით გამარჯვება მოიპოვა – 66:64.

გამარჯვების ბურთი დელტას რეზო როგავამ ჩაუგდო. თანაბარ ანგარიშზე ოლიმპს შესატევად 4 წამი ჰქონდა. გვერდითა ხაზიდან შემოტანილი ბურთი როგავამ მიიღო, დელტას დაცვა პერიმეტრზე გაჭრა და გამარჯვების ბურთი საფინალო სირენის თანხლებით ჩააგდო.

არადა, დელტას თამაში თითქმის მოგებული ჰქონდა. მატჩის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე ლექსო ლაფანაშვილის გუნდი 6 ქულით – 62:57 იგებდა, თუმცა მწყობრი დაცვისა და სწრაფი, ზუსტი შეტევების ხარჯზე ოლიმპმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა და მარკ ოგდენის საჯარიმოების შემდეგ 63:62 დაწინაურდა. ჯაკობოვის გუნდმა დაცვაშიც იყოჩაღა და დაცვაში ბურთი მოიპოვა, რეზო როგავამ კი საფინალო სირენამდე ათიოდ წამით ადრე 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და ოლიმპი 64:62 დააწინაურა.

დელტამ ბურთი სწრაფად შეიტანა და მალკოლმ დრამრაითმა სოლო გარღვევით ანგარიში გაათანაბრა. აქ კი იმ ეპიზოდს მივადექით, როცა როგავამ 4 წამში გამარჯვების

ბურთი ჩააგდო. ამ მოგებით ჯაკობოვის გუნდი ცხრილში პირველ ადგილზეა.

ოლიმპელებს 18 ქულით ჩარლზ ბენეტმა ულიდერა. რევაზ როგავამ შეხვედრა 11 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა, ნიკა დარბაიძემ კი გამარჯვებულებს 10 ქულა მიაშველა. დელტში 13 ქულით საუკეთესო იყო მალკოლმ დრიმრაითი. 12 ქულა და 10 მოხსნა გეგი ბაქრაძემ მოაგროვა.

თსუ-ჰიუნდაი-კაკტუსი 89:75
(21:20, 18:28, 29:13, 21:14)

გათამაშების დებიუტანტმა მეორე ნახევარში გატეხა სუპერლიგაში 3 წლის წინ გადმოსული, თუმცა უკვე საკმაოდ გამოცდილი კაკტუსი და ჩემპიონატის ლიდერებში გაერია. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდმა 4 შეხვედრიდან მე-3 გამარჯვება მოიპოვა და ცხრილის სათავეში ანალოგიური შედეგის მქონე ქუთაისსა და ოლიმპს შეუერთდა.

თსუ-ჰიუნდაიმ საბოლოოდ დამაჯერებელი სხვაობით – 89:75 იმარჯვა, თუმცა პირველ ნახევარში უპირატესობა კაკტუსელებს ჰქონდათ და არჩილ ჟღენტის გუნდი საკმაოდ სოლიდურადაც ლიდერობდა. პირველი პერიოდის 20:21 წაგების შემდეგ კაკტუსმა სწრაფი თამაშითა და ზუსტი შორი სროლების ხარჯზე მეორე ათწუთეულის 28:18 მოგება მოახერხა და დიდ შესვენებაზე სოლიდური ჰანდიკაპით გავიდა – 48:39.

შესვენების შემდეგ თსუ-ჰიუნდაელები სრულიად სხვანაირად მომართულები გამოვიდნენ მოედანზე და მატჩის სცენარი კარდინალურად შეცვალეს. სანდრო სანაძის, კრისტიან ანდერსონის და ჯეიმს მილიკანის პერიმეტრზე აქტიურობას გიორგი კორსანტიას ფარქვეშ ყოჩაღი თამაში ერთვოდა. ახალგაზრდა კორსანტიამ სამწამიანი დაიპყრო და მეორე ნახევარში მან და მისმა მეწყვილე რატკო პეტრიჩმა ფარქვეშ მეტოქე ფაქტობრივად არ შეუშვეს.

შედეგმაც არ დააყოვნა. თსუ-ჰიუნდაიმ მყისიერად აღმოფხვრა ჩამორჩენა და მესამე პერიოდის ბოლოსთვის 7 ქულით გალიდერდა. კაკტუსი ვერ აღმოჩნდა მზად გამართულად მოთამაშე მეტოქესთან საბრძოლველად და ბოლო პერიოდში, როცა მატჩის ბედი წყდებოდა, არათუ მოსაგებად გაიბრძოლა, კიდევ უფრო ჩამორჩა და საბოლოოდ დიდი სხვაობით წააგო. ბოლო 2-3 წუთს აზრი დაეკარგა და თამაშიც გუნდების ახალბედა, ახალგაზრდა მოთამაშეებმა ჩაამთავრეს.

გამარჯვებულებს 20 ქულით და 12 მოხსნით გიორგი კორსანტიამ ულიდერა. 18 ქულა ჯეიმზ მილიკენმა მოაგროვა, სანდრო სანაძის ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა. კაკტუსში 17 ქულით ბომბარდირი გახდა ბექა ჩიკვილაძე, ენტონი ჯენუარიმ კი 13 ქულა მოითვალა.

დინამო-რუსთავი 76:61
(22:7, 14:20, 20:16, 21:18)

სუპერლიგის აუტსაიდერი რუსთავი ამ მატჩს ცვლილებებით შეხვდა. გუნდიდან 2 ამერიკელი ლეგიონერი გაუშვეს, რომელიც 2 ახალი ოკეანგაღმელით ჩაანაცვლეს, თუმცა დინამოსთან მატჩში მხოლოდ ერთ მათგანს – კენდარიუს ჰამილტონს ჰქონდა თამაშის უფლება. გათავისუფლების ფურცლის მოლოდინშია გაცილებით გამოცდილი და მაღალი კლასის გამთამაშებელი – დარილ ბრაიანტი.

რუსთაველებმა იბრძოლეს, რაც შეეძლოთ, წინააღმდეგობა გაუწიეს დინამოელებს, თუმცა კლასითა და გამოცდილებით მეტოქეს ვერ აჯობეს. თავის მხრივ, დინამოელებმაც 2 მარცხით დაიწყეს სუპერლიგის სეზონი და მათთვის თითოეულ მოგებას დიდი მნიშვნელობა აქვთ. ირაკლი ხოშტარიას გუნდი ბოლო მატჩებში დალაგდა და დღეს, „რუსთავის“ ძლევით ჩემპიონატში ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა.

მატჩი დინამოელთა გაქცევით დაიწყო. ირაკლი ხოშტარიას გუნდმა საწყისი პერიოდი 22:7 მოიგო, ხოლო შემდეგ რუსთაველებმა იძალეს და დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირეს. რამაზ გოგობერიშვილი ძირითადად ახალგაზრდებს ეყრდნობოდა – მოედანზე ხანგრძლივი დროით იმყოფებოდნენ 18 წლის გიგი ტაბაღუა, ზურა ვაშაკიძე, 21 წლის ლევან გოგალაძე, ასევე ახალგაზრდები – ერეკლე ლორთქიფანიძე, დავით გუგავა და დავით ბარამიძე.

დინამოელებმა ისარგებლეს და თამაში გამარჯვებამდე მშვიდობიანად მიიყვანეს. საბოლოოდ ხოშტარიას გუნდმა 77:61 მოიგო და 4 მატჩიდან 2 გამარჯვებით ცხრილის შუაში დამკვიდრდა.

დინამოს 20 ქულით და 11 მოხსნით ხორვატმა დემაგოი ბუბალომ ულიდერა. 18 ქულა მოაგროვა ლევან გრძელიძემ, ჯორდან სვოპშირის ანგარიშზე კი 15 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა. 19 ქულით და და 13 მოხსნით რუსთაველთაგან ისააკ ბენქსი გამოირჩა, 13 ქულა მოაგროვა ახალწვეულმა კენდარიუს ჰამილტონმა, ხოლო ერეკლე ლორთქიფანიძის ანგარიშზე 12 ქულა დაგროვდა.

შსს აკადემია-ტიტები-ბათუმი 89:82
(25:28, 22:21, 26:16, 16:17)

ტიტებმა ბათუმს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში – 89:82 დაამარცხა. ბათუმელებს 2 მოგების წილ 1 მარცხი ჰქონდათ, „ტიტებს“ კი – პირიქით.

მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო და ზღვისპირელებმა ერთხანს 13-ქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს, თუმცა მასპინძლებმა თამაში მალევე დაალაგეს და ძირითადად სწრაფი შეტევებით ჩაგდებული ბურთებით პირველი პერიოდის ბოლოს ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირეს.

მესამე მეოთხედი გარდამტეხი გამოდგა, რომელიც ტიტებმა 10 ქულით – 26:16 მოიგეს, 7 ქულით გალიდერდნენ და მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება დაიწყეს. ბათუმელები ცდილობდნენ წამოწევას და მეტოქესთან ყველაზე ახლოს (79:81) მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე მივიდნენ, თუმცა ეს იყო მათი მაქსიმუმი. ტიტებმა ლიდერობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნა და საბოლოოდ სეზონის მეორე გამარჯვება მოიპოვა.

ტიტებში შეუჩერებელი იყო ილია ლონდარიძე, რომელმაც სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და 30 ქულა და 5 პასი მოითვალა. 11-11 ქულა მოაგროვეს ბესო ლეჟავამ და როდერიკ მილსმა. ბათუმში 18 ქულით გამოირჩა შონ ჰილი, ხოლო 17-17 ქულა ნოდარ გოგოძემ და სპენსერ კოლინსმა მოაგროვეს.

საატჩინიო ცხრილი:

1.ოლიმპი	4	3	1333:295	7
2.თსუ-ჰიუნდაი	4	3	1337:309	7
3.ქუთაისი	4	3	1318:298	7
4.ტიტები	4	2	2309:316	6
5.მგზავრები	4	2	2303:299	6
6.დინამო	4	2	2273:278	6
7.დელტა	4	2	2307:287	6
8.ბათუმი	4	2	2327:344	6
9.კაკტუსი	4	1	3299:335	5
10.რუსთავი	4	0	4287:332	4

ბექა ბურჯანაძის სეზონის საუკეთესო მატჩი

ზაზა ფაჩულიას დეტროიტ პისტონსმა ნიუ ორლეანს უმასპინძლა და ანგარიშით 108:116 დამარცხდა.

ჩვენებურმა თამაში სათადარიგო სკამიდან დაიწყო და პარკეტზე 11 წუთი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მან 6 ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. ზაზამ 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 5-დან მხოლოდ 2 საჯარიმო. არადა, როგორც წესი, ფაჩულია საჯარიმოებს მაღალი სიზუსტით ისვრის.

ეს პისტონსის ზედიზედ მე-4 მარცხი გახდა. 13 მოგებითა და 11 წაგებით დეტროიტი აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილს იკავებს.

ესპანეთის მე-11 ტურში თორნიკე შენგელიას ბასკონიამ ბრეგანი ისტუმრა და დამაჯერებლად – 100:78 დაა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

9 დეკემბერი
ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ნიუკასლი-ვულვზი 1:2

საატჩინიო ცხრილი:

1.ლივერპული	16	13	3	0	34:6	42
2.სიტი	16	13	2	1	45:9	41
3.ტოტენჰემი	16	12	0	4	30:16	36
4.ჩელსი	16	10	4	2	33:13	34
5.არსენალი	16	10	4	2	35:20	34
6.მანჩესტერი	16	7	5	4	28:26	26
7.ევერტონი	15	6	5	4	21:17	23
8.ბორნმუთი	16	7	2	7	25:26	23
9.ლესტერი	16	6	4	6	21:20	22
10.ვულვზი	16	6	4	6	17:19	22
11.ვესტ ჰემი	16	6	3	7	23:25	21
12.ბრაიტონი	16	6	3	7	19:22	21
13.უოტფორდი	15	6	2	7	18:21	20
14.კარდიფი	16	4	2	10	15:30	14
15.ნიუკასლი	16	3	4	9	13:22	13
16.კრ.პალასი	16	3	3	10	13:23	12
17.ბარნლი	16	3	3	10	15:32	12
18.ჰადერსფილდი	16	2	4	10	10:27	10
19.საუთჰემპტონი	16	1	6	9	13:30	9
20.ფულემი	16	2	3	11	16:40	9

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ეიბარი-ლევანტე 4:4
უესკა-რეალი 0:1
სოსიედადი-ვალიადოლიდი 1:2
ბეტისი-რაიო 2:0

საატჩინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	15	9	4	2	41:19	31
2.სევილია	15	8	4	3	27:16	28
3.ატლეტიკო	15	7	7	1	21:10	28
4.რეალი	15	8	2	5	23:19	26
5.ალავესი	15	7	3	5	18:17	24
6.ლევანტე	15	6	4	5	27:25	22
7.ბეტისი	15	6	4	5	16:17	22
8.ხეტაფე	15	5	6	4	16:12	21
9.ხირონა	14	5	6	3	17:16	21
10.ესპანიოლი	15	6	3	6	17:20	21
11.სელტა	15	5	5	5	28:24	20
12.ვალიადოლიდი	15	5	5	5	13:15	20
13.სოსიედადი	15	5	4	6	18:18	19
14.ეიბარი	15	5	4	6	19:23	19
15.ვალენსია	15	3	9	3	12:12	18
16.ლეგანესი	15	4	5	6	15:19	17
17.ვილიარეალი	15	3	5	7	15:19	14
18.ბილბაო	14	1	8	5	14:23	11
19.რაიო	15	2	4	9	15:30	10
20.უესკა	15	1	4	10	12:30	7

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-რეუსი 0:1
კადისი-მაჰადაონდა 1:0
ელჩე-ხიხონი 0:0
ლუგო-ლას პალმასი 4:2
სარაგოსა-კორდობა 0:0

გერმანია. ბუნდესლიგა

მაინცი-ჰანოვერი 1:1
გლადბახი-შტუტგარტი 3:0

საატჩინიო ცხრილი:

1.დორტმუნდი	14	11	3	0	39:14	36
2.გლადბახი	14	9	2	3	33:16	29
3.ბაიერნი	14	8	3	3	28:18	27
4.ლაიპციგი	14	7	4	3	24:13	25
5.აინტრახტი	14	7	2	5	30:17	23
6.ჰერტა	14	6	5	3	22:20	23
7.ჰოფენჰაიმი	14	6	4	4	30:21	22
8.ვერდერი	14	6	3	5	24:23	21
9.ვოლფსბურგი	14	5	4	5	20:20	19
10.მაინცი	14	5	4	5	13:15	19
11.ლევერკუზენი	14	5	3	6	20:25	18
12.ფრაიბურგი	14	4	5	5	19:22	17
13.შალკე	14	4	2	8	15:20	14
14.აუგსბურგი	14	3	4	7	20:23	13
15.შტუტგარტი	14	3	2	9	9:29	11
16.ნიურნბერგი	14	2	5	7	14:33	11
17.ჰანოვერი	14	2	4	8	16:29	10
18.ფორტუნა	14	2	3	9	14:32	9

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-ზანდჰაუზენი 1:1
დინამო-კილი 0:2
მაგდებურგი-უნიონი 1:1

იტალია. სერია ა

სასუოლო-ფიორენტინა 3:3
პარმა-კიევო 1:1
უდინეზე-ატალანტა 1:3
ემპოლი-ბოლონია 2:1
ჯენოა-სპალი 1:1
მილანი-ტორინო 0:0

საატჩინიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	15	14	1	0	32:8	43
2.ნაპოლი	15	11	2	2	32:14	35
3.ინტერი	15	9	2	4	27:13	29
4.მილანი	15	7	5	3	24:18	26
5.ლაციო	15	7	4	4	22:18	25
6.ტორინო	15	5	7	3	19:16	22
7.ატალანტა	15	6	3	6	29:20	21
8.რომა	15	5	6	4	26:20	21
9.სასუოლო	15	5	6	4	24:22	21
10.პარმა	15	6	3	6	16:19	21
11.სამპდორია	15	5	5	5	23:19	20
12.ფიორენტინა	15	4	7	4	21:16	19
13.კალიარი	15	3	8	4	15:19	17
14.ემპოლი	15	4	4	7	19:26	16
15.ჯენოა	15	4	4	7	20:30	16
16.სპალი	15	4	3	8	14:24	15
17.უდინეზე	15	3	4	8	13:21	13
18.ბოლონია	15	2	5	8	13:24	11
19.ფროზინონე	15	1	5	9	11:33	8
20.კიევო	15	0	6	9	12:32	3

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

კრემონეზე-ჩიტადელა 0:0
ლივორნო-ფოჯა 3:1
ბენევენტო-ვერონა 0:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

სტრასბური-კაენი 2:2
ლილი-რეიმსი 1:1

საატჩინიო ცხრილი:

1.პსჟ	16	14	2	0	49:10	44
2.ლილი	17	9	4	4	25:15	31
3.მონპელიე	16	8	5	3	24:12	29
4.ლიონი	16	8	4	4	26:20	28
5.მარსელი	16	8	2	6	29:25	26
6.სტ.ეტიენი	16	7	5	4	24:21	26
7.ნიცა	16	7	4	5	12:14	25
8.სტრასბური	17	5	8	4	27:21	23
9.ნიმი	16	6	5	5	24:21	23
10.რენი	17	6	5	6	23:25	23
11.რეიმსი	17	5	7	5	11:15	22
12.ბორდო	16	5	6	5	19:19	21
13.ნანტი	16	5	5	6	24:24	20
14.ანჟე	16	4	6	6	19:21	18
15.ტულუზა	16	4	6	6	14:24	18
16.დიჟონი	17	4	4	9	16:28	16
17.ამიენი	17	5	1	11	16:30	16
18.კაენი	17	2	8	7	15:22	14
19.მონაკო	16	3	4	9	16:24	13
20.გენგამი	17	1	5	11	12:34	8

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

უტრეხტი-ჰერაკლესი 3:1
ვენლო-გრონინგენი 0:0
ემენი-ფეინოორდი 1:4
ბრედა-ვიტესი 2:1

ჰორტუგალია. პრიმეირა ლიგა

მორეირენშე-სანტა კლარა 0:1
ნასიონალი-ბოავიშტა 0:0
გიმარაეში-რიუ ავე 3:2
სპორტინგი-ავიში 4:1

ჩეხეთი. პრემიერლიგა

დინამო-ურალი 4:0
კრასნოდარი-უფა 1:1
ზენიტი-რუბინი 1:2

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-ციურიხი 2:0
გრასჰოპერსი-ლუცერნი 2:3
ლუგანო-სიონი 2:2

მოტლანდია. პრემიერლიგა

დანდი-რეინჯერსი 1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

მატერსბურგი-აუსტრია 2:1
ჰარტბერგი-ინსბრუკი 2:2
რაპიდი-შტურმი 0:0

ბელგია. 1 დივიზიონი

სერკლი-ანტვერპენი 0:3
ანდერლეხტი-შარლერუა 1:1
გენტი-ეუპენი 2:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ქსანთი-ოლიმპიაკოსი 1:1
ოფი-პანათინაიკოსი 3:1
ატრომიტოსი-არისი 4:2
პაოკი-ლარისა 2:1

თურქეთი. სუპერლიგა

ერზრუმი-მალათია 1:3
ბურსა-ანთალია 0:2
აკხისარი-ფენერბახჩე 3:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

სპარტა-ტეპლიცე 0:1

პოლონეთი. ექსტრაკლასი

გურნიკი-ლეგნიცა 1:3
ლეხია-ლეგია 0:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ოლიმპიკი-დესნა 1:1
ოლექსანდრია-ლვოვი 1:2

დანია. სუპერლიგა

ვენსიუსელი-რანდერსი 0:1

რანდრსის გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა

ოლბორგი-ჰორსენსი 2:4
კოპენჰაგენი-ესბიერგი 3:0
ვეილე-ბრონდბიუ 1:2

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

ბექა ბურჯანაძის სეზონის საუკეთესო მატჩი

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მარცხა. ქართველმა ფორვარდმა ტრადიციულად სოლიდური წვლილი შეიტანა ვიტორიელთა გამარჯვებაში.

შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 25 წუთი გაატარა. თორნიკემ 7-დან 4 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი და 7-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. ქართველი ფორვარდის ანგარიშზე 17 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი და 1 ჩაჭრა დაგროვდა. შენგელიას შედეგიანობით მხოლოდ ილიმანე დიოპმა აჯობა, რომელმაც თამაშიდან ნასროლი 7 სროლა, მათ შორის 1 სამქულიანი ჩააგდო. საბოლოოდ აფრიკელმა ცენტრმა 20 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა და მატჩის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა.

9 მოგებითა და 2 მარცხით ბასკონია მადრიდის რეალთან ერთად 2-3 ადგილებს იყოფს. პირველზე კი, ბარსელონაა, რომელსაც 10 მოგება და 1 წაგება აქვს.

გიორგი შერმადინის უნიკახას წარმატებული სვლა ესპანეთის ჩემპიონატში გასულ ტურში დასრულდა. ბოლო 6 მატჩიდან 5 მოგების მომპოვებელი მალაგური გუნდი სტუმრად ხუვენტუტს შეხვდა და 86:93 წააგო.

შერმადინმა, რომელიც რამდენიმე დღის წინ, საქართველოსა და ისრაელის ნაკრებთა მატჩის გმირი გახდა, მოედანზე 14 წუთი გაატარა. ამ დროში გიორგიმ 4 ქულა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა გაახერხა. უნიკახას ცენტრმა 3 ორქულიანი ისროლა და ორჯერ ბურთი კალათში მოათავსა.

უნიკახას 8 გამარჯვების საპირწონედ 3 მარცხი აქვს და სატურნირო ცხრილში მე-4 პოზიციაზეა. მალაგელები მომდევნო ტურში ლიდერ ბარსელონას უმასპინძლებენ.

ბექა ბურჯანაძემ მიმდინარე სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში მისმა გუნდ დელტეკომ, რომელიც ცხრილში ბოლო ადგილზე იმყოფება, მურსიას უმასპინძლა და 67:81 დამარცხდა. ქართველმა ფორვარდმა მატჩის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა და მვპ-ის ტიტულიც დაიმსახურა.

მასპინძლებმა პირველი ტაიმი 6 ქულის სხვაობით მოიგეს, მაგრამ მესამე და მეოთხე პერიოდში მეტოქეს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს და დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, მატჩის საუკეთესო მოთამაშე ბურჯანაძე გახლდათ. ქართველმა კალათბურთელმა, რომელიც სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა, 33 წუთი ითამაშა და ხსენებულ დროში საკუთარ გუნდს 19 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება შესძინა.

ბექამ 5-დან 3 ორქულიანი, 4-დან 1 საჯარიმო და 6-დან 4 სამქულიანი ჩააგდო, ხოლო ხუთივე მოხსნა საკუთარ ფარზე მიითვალა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 25-ს გაუტოლდა და ეს ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო შედეგი გახლდათ.

2 მოგებითა და 9 მარცხით დელტეკო ბოლო ადგილზეა. მომდევნო შეხვედრას კი ბურჯანაძის ყოფილ გუნდს ანდორასთან, სტუმრად ჩაატარებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებულმა წევრმა თად მაკფადენმა ბარსელონას პირველ ტაიმში 14 ქულა ჩაუგდო, თუმცა მისი ტენერიფე ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერთან მაინც დამარცხდა – 73:77.

მეორე ნახევარში მაკფადენმა ბურთი ვეღარ ჩააგდო და შეხვედრა 14 ქულით დაასრულა. სასტარტო ხუთეულში მყოფმა ამერიკელმა უკანახაზელმა 31 წუთი ითამაშა და 2-დან 1 ორქულიანი და 11-დან 4 სამიანი ჩააგდო. 14 ქულასთან ერთად მაკფადენს 5 პასი, 2 ჩაჭრა და 1 მოხსნა ჰქონდა.

6 მოგებითა და 5 მარცხით ტენერიფე ცხრილში მე-5 ადგილზეა და შემდეგ ტურში, შენგელიას ბასკონიას უმასპინძლებს.

ესპანეთშივე, რანგით დაბალ დივიზიონში თამაშობს საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა კანდიდატი ლუკა ბულაშვილი, რომლის კულერედომ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და ცხრილში მე-2 ადგილზე გადაინაცვლა. ლაკორუნიელებმა ესტუდიანტეს უმასპინძლეს და 77:61 სძლიეს, რაც ქართველი უკანახაზელის დიდი დამსახურებაა.

ბულაშვილი სასტარტოში იყო და 34 წუთში 20 ქულა, 5 მოხსნა, 8 პასი და 4 ჩაჭრა მოაგროვა. ლუკამ 12-დან 6 ორქულიანი და 14-დან 8 საჯარიმო ჩააგდო, 6-ივე სამქულიანი კი ააცილა. 23 ქულით კულერედოში ბომბარდირი ტრევინ ვუდსი გახდა.

7 მოგებითა და 2 მარცხით ბულაშვილის გუნდი ლიგაში მეორე ადგილზეა.

სანდრო მამუკელაშვილის სეტონ ჰოლმა ამერიკის სტუდენტურ ლიგაში მცირე სენსაცია მოახდინა. ორანჟელმა „მეკობრეებმა“ მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ ლიდერს, გამოკითხვების 10-ეულში მყოფ კენტუკის უმასპინძლეს და დაძაბულ, ოვერტაიმიან ბრძოლაში 1 ქულით – 84:83 დაამარცხეს.

ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 20 წუთი დაჰყო, რა დროში 3 ქულა, 8 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. სანდრომ 3-დან 1 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა. გამარჯვებულებს ულიდერა მაილს პოუელმა, რომელმაც 28 ქულა ჩააგდო, თუმცა მატჩის გმირი მაილს კეილი გახდა, რომელმაც ოვერტაიმის დასრულებამდე 11 წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო და სეტონჰოლელები 84:83 დააწინაურა.

ძირითადი დროის ბოლო წამებზე ისეთი რამ მოხდა, კალათბურთში იშვიათად რომ იხილავთ. თანაბარ ანგარიშზე მაილს პოუელმა სამქულიანი საფინალო სირენამდე 1.5 წამით ადრე ჩააგდო და სეტონ ჰოლი 70:67 დააწინაურა. დარჩენილ უმცირეს დროში კენტუკელებმა ბურთი საკუთარი ფარქვეშიდან შემოიტანეს, ცენტრის რგოლში კელდონ ჯონსონს მიაწოდეს, რომელმაც ზუსტად ცენტრიდან გამთანაბრებელი სამქულიანი ჩააგდო. დამატებით დროში კი, როგორც ვთქვით, მაილს კეილმა მებრძოლ კენტუკელებს სამქულიანით იმედი გადაუწურა.

6 მოგებითა და 3 მარცხით სეტონ ჰოლი „ბიგ ისთის“ კონფერენციაში ბოლოსწინა, მე-9 ადგილზეა. შემდეგი მატჩი მამუკელაშვილის გუნდს რათჯერ ნაითსთან ელის.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტურისტმა სეირნობის დროს მოხუცი ალიგატორისგან იხსნა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ლეიკლენდში ალიგატორი თავს დაესხა ხანდაზმულ მამაკაცს, რომელსაც ამ ფაქტის შემსწრე კანადელი ტურისტი მიეხმარა.

სკოტ პირსონი ფლორიდაში მეუღლესთან ერთად მშობლების სანახავად ჩავიდა. სეირნობის დროს მათ შენიშნეს სამმეტრიანი რეპტილია, რომელმაც 85 წლის ჯორჯ ილეს ფეხში სტაცა პირი.

– ეს სიურეალისტურად გამოიყურებოდა, სხვაგვარად ვერც უწოდებ, – განაცხადა კანადელმა, – თითქოს კინო იყო.

ის და სხვა გამვლელები მოხუცს მიეშველნენ. ამის შემდეგ ალიგატორმა ნადავლი მიატოვა და გაიქცა. სასწრაფო დახმარების მოსვლამდე პირსმა მოხუცს ჭრილობიდან სისხლდენის შესაჩერებლად ფეხზე საკუთარი პერანგი შემოუჭირა.

ჯორჯ ილე საავადმყოფოში გადაიყვანეს, მისი მდგომარეობა სტაბილურია. პირსონი კანადაში დაბრუნდა და აღნიშნა, რომ ფლორიდაში შემდგომი სტუმრობის დროს ქუჩის მეორე მხარეზე გუბურადან, საიდანაც ალიგატორი ამოძვრა, უფრო მოშორებით ივლის.

მეკობრე-მოჩვენებაზე გათხოვილმა ირლანდიელმა თავი განქორწინებულად გამოაცხადა

ირლანდიელმა ქალმა, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში მეკობრე-მოჩვენებას ცოლად გაჰყვა, განაცხადა, რომ შეყვარებულს დაშორდა.

ამანდა ბეღურამ ირლანდიის ქალაქ დროზდიდან თავის „შეყვარებულზე“ 2018 წლის დასაწყისში იქორწინა. მათ ქორწილი ნავში ნეიტრალურ წყლებში გადაიხადეს. ცერემონიას ესწრებოდა მედიუმი, რომელმაც XVIII საუკუნეში ჩამოხრჩობილი საქმროს თანხმობა დაამოწმა. დაქორწინების შემდეგ პატარძალმა ქალიშვილობის გვარი ტიგი ბეღურით შეცვალა. ის დარწმუნებული იყო, რომ მისი საქმრო საგის „კარიბის ზღვის მეკობრეების“ მთავარი გმირის ჯეკ ბეღურას ისტორიული პროტოტიპი იყო.

რამდენიმე დღის წინ 46 წლის ამანდამ მათი ურთიერთობის დასრულების შესახებ განაცხადა და ასევე ყველანი ასეთი ურთიერთობის საფრთხის შემცველობის თაობაზე გააფრთხილა.

– მე ყველაფერს მაშინ ავხსნი, როდესაც ამის დრო დადგება, მანამდე კი მინდა გთხოვოთ, რომ სულებთან ურთიერთობის დროს დიდი სიფრთხილე გამოიჩინოთ, მათთან ხუმრობა ნამდვილად არ შეიძლება, – დაწერა ქალმა სოციალურ ქსელში.

ახალი „მის მსოფლიო“ მექსიკელი მოდელი გახდა

მექსიკელი მოდელი ვანესა პონსე დე ლეონი „მის მსოფლიო 2018-ს“ ტიტულის მფლობელი გახდა.

გამარჯვების შემდეგ მიცემულ თავის პირველ ინტერვიუში პონსემ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არ სჯერა თავისი ამ წარმატების და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულში გამოტყდა.

– იმედი მაქვს, რომ იმდენს ავუჩუყებ გულს, რამდენსაც შევძლებ, – განაცხადა მექსიკელმა გოგონამ.

26 წლის პონსე პირველი მექსიკელია, რომელმაც „მის მსოფლიოს“ ტიტული მოიპოვა. მან მოდელის კარიერა 2014 წელს მექსიკურ რეალითი–შოუში მონაწილეობით დაიწყო, რომელშიც პონსე გამარჯვებული გამოვიდა. წელს ის „მის მსოფლიო მექსიკა“ გახდა.

მას გუანახუატოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის სფეროში ხარისხი აქვს მიღებული და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს სპეციალისტის დიპლომი აქვს მიღებული. ის მუშაობს სკოლაში, რომელიც მკვიდრი ტომების წარმომადგენელ ბავშვებს კულტურათაშორის განათლებას აძლევს და ასევე გოგონების სარეაბილიტაციო ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრია.

მეთევზემ 48 კილოგრამი კოკაინი დაიჭირა

მეთევზემ მარშალის კუნძულების ატოლ კვაჯალეინიდან ბადით 48 კილოგრამი თეთრი ფერის ფხვნილი დაიჭირა, რომელიც დიდი ალბათობით კოკაინია.

ორ ფენა პოლიეთილენში გახვეული ფხვნილი პაკეტებად იყო დაფასოებული. მისი ღირებულება ოთხ მილიონ დოლარადაა შეფასებული. ნაპოვნი ფხვნილის ზუსტი ქიმიური შემადგენლობის დასადგენად ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარდება.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ნოემბერში ატოლის სანაპიროზე ასევე თეთრი ფხვნილით სავსე შეკვრები გამოირიყა, რომელიც, როგორც ანალიზმა აჩვენა, კოკაინი აღმოჩნდა.

კენგურუმ ავსტრალიელს ლუდი ხელიდან ვერ გააგდებინა

ავსტრალიის ვიქტორიას შტატის ქალაქ ბენდიგოში კენგურუმ დაარტყა მამაკაცს, რომელსაც ხელში ლუდი ეჭირა.

დენიელ ტუი შეეცადა აგრესიული ცხოველისგან თავისი ძაღლები დაეცვა. ამის შემდეგად კენგურუ ცხოველებიდან მასზე გადაერთო და მას უკანა ფეხები მთელი ძალით მკერდში ჩასცხო. მამაკაცმა თავი ვერ შეიმაგრა და ძირს დაეცა, თუმცა ლუდის ბოთლისთვის ხელი არ გაუშვია.

ტუის ქალიშვილმა მომხდარი ვიდეოზე გადაიღო და ფეისბუქში გამოაქვეყნა. ერთი დღის მანძილზე ვიდეო 430 ათასზე მეტმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ნახა, ორი ათასზე მეტი მოწონება და 6,2 ათასამდე გაზიარება მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

11 დეკემბრისათვის

ვერძი – სამოგზაუროდ წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ. **კურო** – მომავალი თამამად დაგეგმეთ. გიმართლებთ ფინანსურ ოპერაციებში. ემოციების გამოხატვისგან თავი შეიკავეთ. **ტყუპები** – საკუთარ ნიჭს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. **კირჩხიბი** – დღეს აუცილებლად დაისვენეთ როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. **ლომი** – მოსალოდნელია სასიკეთო ცვლილებები პირად ცხოვრებაშიც და სამსახურშიც. გაუფრთხილდით ახლობლების ჯანმრთელობას. **ქალწული** – პასიური დღეა. კომერციულ საქმიანობას ერიდეთ. **სასწორი** – მიღებული ინფორმაცია გაგაკვირვებთ და გაგახარებთ. ეცადეთ, ნათესავებთან ურთიერთობა მოაგვაროთ. **ღრიანკალი** – სასიამოვნო და მშვიდი დღეა. ნუ იქნებით ზედმეტად კატეგორიული. **მშვილდოსანი** – საყიდლებზე წასვლა კმაყოფილებას მოგგვრით. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **თხის რქა** – ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. სიტუაციის სუბიექტური შეფასება ვითარებას დაძაბავს. **მერწყული** – ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. დღეს გჭირდებათ სრულფასოვანი დასვენება. **თევზები** – ეცადეთ, გარშემომყოფებს თქვენი აზრი თავს არ შემოახვიოთ. საღამო ბავშვებთან ერთად გაატარეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 2. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 3. წარწერა საფლავის ქვაზე; 4. ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან; 5. ძაფზე ასხმული სამკაული; 6. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი; 8. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 11. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 14. ცხოველის გარეგნული შესახედაობა, აგებულება; 15. ქართველი მგოსანი; 16. ქართული გაზეთი; 17. თავისსავე ქონში ჩახრაკული ცხვრის გულღვიძლისგან მომზადებული კერძი; 19. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 21. ველორიქშა ინდოეთში; 22. თანამედროვე ბრიტანელი თეატრალური რეჟისორი.

თარაზულად: 1. ოდისევსის მეუღლე, ცოლქმრული ერთგულების სიმბოლო; 5. სოფელი ხევსურეთში; 7. ტყვია-თუთიის საბადო სამაჩაბლოში; 9. საგნის სახეცვლილება; 10. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 12. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 13. შინაური კურდღელი; 16. უნიკალური, ძალზე იშვიათი ნივთი; 17. არომატული, მატონიზირებელი სასმელი; 18. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 20. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 23. შრი-ლანკის დედაქალაქი; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 25. ბაღჩეული ხილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. მარაბუ; 5. იმელმანი; 6. კამეა; 7. პალიტრა; 8. აფექტი; 10. ნორდი; 13. კაკადუ; 15. ისტრია; 16. მატე; 17. კინო; 20. ონიქია; 21. სინუსი; 22. ორგანდი; 23. ტუნიკა.

შვეულად: 1. მასტიკა; 2. კლეფსიდრა; 3. პანორამა; 4. მსახური; 5. ილიადა; 9. ტირაჟი; 11. დიქტატი; 12. პარადი; 14. კოლოიდი; 18. ომეგა; 19. აქატი.

სკანვორდის პასუხები:

1. ტირე; 2. აი; 3. ეტი; 4. ტირი; 5. ლი; 6. მირკანი; 7. „ალია“; 8. ილი; 9. ნონა; 10. ნალია; 11. ანარა; 12. ტომ; 13. ამია; 14. ტიარა; 15. სოლ; 16. მაია; 17. ბიზონი; 18. ტარიგი; 19. ანანკე; 20. მელოტი; 21. ირი; 22. პარადი; 23. პამირი; 24. აკიდო; 25. რა; 26. რეა; 27. კოალა; 28. იმამატი; 29. ბრნო; 30. ისი; 31. რეესტრი; 32. კასასი; 33. სან; 34. კოინდარი.

სურათებზე: კეტრინ ზეტა ჯონსი; ლუკას ლიევა.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

დედამ საკუთარი შვილი მეუღლის შესამოწმებლად მოიტაცა

ჩინეთის პროვინცია ჩჟეცზიანის ქალაქ იუეცინის მცხოვრებმა ქალბატონმა საკუთარი შვილის მოტაცების ინსცენირება გაითამაშა, რათა შეემოწმებინა, მისი მეუღლე მართლა ზრუნავდა თუ არა მასსა და მის შვილზე.

ქმართან კამათის შემდეგ ქალმა შვილს სკოლაში მიაკითხა და უბრძანა, რომ მას სხვა მანქანაში დალოდებოდა, თავად კი პოლიციაში წავიდა ბავშვის გაუჩინარების თაობაზე განცხადების დასაწერად. ამის შემდეგ ქალმა ბავშვი სოფელში წაიყვანა და იქ მისახედად ნათესავებს დაუტოვა.

„დაკარგული“ ბიჭის ძებნის ოპერაციას, ფაქტობრივად, მთელი ქვეყანა ადევნებდა თვალს. ოჯახმა ბავშვის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციისთვის ჯილდოდ მსხვილი თანხა, 500 ათასი იუანი დაწესა. იუეცინისა და მეზობელი ქალაქის ვენჩჟოუს სამართალდამცავმა ორგანოებმა მთელი საკუთარი ძალები და შესაძლებლობები ჩართეს საქმის გამოძიებაში.

ბავშვი მეექვსე დღეს იპოვეს. მალე კი გაირკვა, რომ დედას შეგნებულად შეჰყავდა ხალხი შეცდომაში. ქალი წინასწარგანზრახვით დეზინფორმაციის შედგენისა და გავრცელების ბრალდებით დაიკავეს.

უსახლკარომ ფულით სავსე ჩანთა იპოვა და პოლიციას ჩააბარა

აშშ-ში უსახლკარომ სამრეწველო ბანკის შესასვლელთან იპოვა ჩანთა, რომელშიც ათასობით დოლარი იდო და ის პოლიციას ჩააბარა.

შემთხვევა ვაშინგტონის შტატის ქალაქ სამნერში მოხდა. 32 წლის კევინ ბუტი დაწესებულებასთან დილით ადრე, მის გაღებამდე, პურისთვის მივიდა და შესასვლელთან ნახა ჩანთა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მასში 17 ათასი დოლარი იდო. მამაკაცმა მხოლოდ ოცდოლარიანი ბანკნოტი აიღო იმის შესამოწმებლად, ნამდვილი იყო თუ ყალბი, დანარჩენი თანხა კი ბანკის მოხალისე თანამშრომელს ჩააბარა, რომელიც ადგილზე 20 წუთის შემდეგ მივიდა. მან კი ბუტს შესთავაზა, ჩანთა ერთად ჩაებარებინათ პოლიციისთვის.

შტატის კანონის თანახმად, ფული 90 დღის განმავლობაში პოლიციის განყოფილებაში ინახებოდა, თუმცა მისი პატრონი არ გამოჩენილა. ვადის გასვლის შემდეგ პოლიციელებმა ის სამრეწველო ბანკს გადასცეს. ამ თანხით ორგანიზაცია შენობის გაფართოებას აპირებს.

პოლიციამ ბუტს საპატიო სიგელი გადასცა, ხოლო შერიფმა ბრედ მიორიკემ მას ხელი ჩამოართვა და უთხრა, რომ ყველა როდი მოიქცეოდა ასეთ სიტუაციაში ასე პატიოსნად.

სამრეწველო ბანკმა ბუტი მისი საყვარელი მაღაზიის რამდენიმე სასაჩუქრე ბარათით დაჯილდოვა.

ამერიკელმა ფულადი პრიზის მიღების მოლოდინში კიდევ უფრო მსხვილი თანხა მოიგო



ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ პორტლენდის მცხოვრებმა მსხვილი ჯეკპოტი იმ დროს მოიგო, როდესაც ლატარიის სხვა გათამაშებაში მოგებული სხვა ფულადი პრიზის მიღებას ელოდებოდა.

სემ ჰოული დაახლოებით დილის 7:30 საათზე ლატარიის ოფისში მოგებული 1759 დოლარის მისაღებად მივიდა, თუმცა მის შესასვლელში გაიგო, რომ ოფისი მხოლოდ ერთ საათში გაიღებოდა. დრო რომ გაეყვანა, მან იქვე მახლობლად მდებარე მაღაზიას მიაშურა.

იქ ჰოულმა კიდევ ერთი ლატარიის ბილეთი შეიძინა და მასში რიცხვების იგივე კომბინაცია ჩაწერა, რომლითაც წინა გათამაშებაში მოიგო.

– მე უკვე რამდენიმე წელია, ლატარიას ვთამაშობ და ყოველთვის ერთსა და იმავე ნომრებს ვავსებ, – აღიარა ჰოულმა.

როდესაც ლატარიის ოფისი გაიხსნა, მამაკაცმა მოგებული 1759 დოლარი მიიღო და ითხოვა, მისი ახალი ბილეთი შეემოწმებინათ. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მისმა მოგებამ ამჯერად 118 ათასი დოლარი შეადგინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„რანინას“ მეორე სეზონი იწყება



მუსიკალური გადაცემა „რანინა“ მეორე სეზონს იწყებს.

საზოგადოებრივ მაუწყებელში ნიჭიერი ბავშვებისთვის შესარჩევი კონკურსები უკვე დაიწყო. შოუს წესების მიხედვით, შეირჩევა 10 საუკეთესო მომღერალი და ისინი გამარჯვებისთვის სხვადასხვა ტურში ცნობილ მომღერლებთან, ორკესტრთან, ბენდთან, ა კაპელაში სიმღერით იბრძოლებენ.

„რანინა“ სამთვიანი მუსიკალური მარათონია და მასში გამარჯვებული საქართველოს საბავშვო ევროვიზიაზე წარადგენს.

მუსიკალური შოუს პირველი სეზონი მომღერალმა თამარ ედილაშვილმა მოიგო, მან საქართველო ბელარუსში გამართულ საბავშვო ევროვიზიაზე წარადგინა და მერვე ადგილი დაიკავა.

პოეტ დათო გაბისკირიას ციხე ემუქრება



„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა...“ – აცხადებს პოეტი დავით გაბისკირია და სოციალურ ქსელში იმ მიზეზზე წერს, რის გამოც ციხე ემუქრება:

– ვფიქრობდი, დამეწერა თუ არა, ეს პოსტი... არ მიყვარს, როცა ადამიანები წუწუნებენ, სოც-ქსელში... მაგრამ აუცილებლობა კარზეა მომდგარი... იქნებ ვინმემ, რაიმე ჭკვიანური მირჩიოს. ჩემიანებს ახსოვთ ალბათ, ზაფხულში ვყვებოდი, ნიჭიერი პოეტის ნიკუშა ნორიელისას ვსტუმრობდი ლისის ტბაზე. რაღაც პატარა, გემრიელ საფუნდუკეს „უძღვებოდა“ მაშინ. მეგობართან ერთად ავედი ლისზე... და რადგანაც საკმაოდ ადრე მოგვივიდა ასვლა, იქვე ტყეში მოვიწყვეთ „პიკნიკი“, ვიდრე მოსაღამოვდებოდა. როგორც ხდება, წაღებული გვქონდა ცოტაოდენი სანოვაგე, ჩემი წიგნებიც, რადგან ამოსარჩევი გვქონდა, რომელ ლექსზე, რომელი მუსიკის ფონი აჯობებდა.

ტყეში დაგვადგა ორი პატრულის თანამშრომელი. ჩვენ ბალახზე ვზივართ, ხელში წიგნებით, არ ვხუმრობ, და მეკითხებიან, მაქვს თუ არა რაიმე მჭრელი საგანი. უხმოდ მივაწოდე დანა. ჰმ... მაშინ ვერ წარმომედგინა, სად გავყავი თავი... თურმე დამალვაც შემეძლო, მაგრამ რას ვიფიქრებდი. კითხვაზე, ავუხსენი ვინ ვარ... გუგლშიც სიამოვნებით მოუსმინეს ჩემს ლექსებს სხვადასხვა საღამოებზე ჩაწერილებს...

მიუხედავად ყველაფრისა, დამილუქეს დანა და მითხრეს, რომ ალბათ ჯარიმას მივიღებდი. რას შეევედავებოდი ეხლა პატრულს. რა, არ ვიცით, როგორც ხდება? 4 თვის მერე გვიბარებს მეც და ჩემს მეგობარსაც გამომძიებელი და გვიცხადებს, რომ საქმე პროკურორთან მიდის და „გულით“ შეეცდება, რომ საპროცესო გამიკეთოს, იმიტომ, რომ ვხედავ მწერალი ხარ და რა დასაჭერი შენ ხარო... ან საპროცესოს ათასები, ან, სავარაუდოდ, ციხე... პირი დავაღე. რატომ მეთქი... ადამიანო, საჭმელი გვქონდა წაღებული და რით უნდა დამეჭრა-თქო? არც უარყოფენ, რომ პიკნიკი გვქონდა, გაგანია ტყეში, ხალხში კი არა. იმიტომ, რომ წლების წინ... იმ „დანაშაულზე“, რომელიც დღეს უკვე ნებადართულია, პირობითი მქონდა...

დანასთან, საერთოდ არ აქვს კავშირი და არც მქონია შეხება არასდროს... ეხლა ამხელა ჯარიმა, ან ციხე მეკუთვნის? ჰოდა.. ვზივარ, ველოდები პროკურორის ზარს... აივანზე ბუჩიტო „მყარაულობს“ და ვფიქრობ... ამისთვის დავდიოდი მიშას საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებზე, რომ იგივე ხალხმა, ისევ იგივე უსამართლობით იჯირითოს ჩემს კისერზე?

როგორც ერთი ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანი იტყოდა.... რა ვიცი, აბა..?

პ.ს. ჩემს კითხვაზე, კი მაგრამ, რატომ ამომარჩიეთ, ბანდიტს ვგავარ-თქო? წვერი გაქვს და იმიტომო... ვოტ..

წვერი არ მოუშვათ ტო.

გიგა კვენეტაძე ბესო ჩუბინიძეს გაუნაწყენდა

მომღერალი გიგა კვენეტაძე ჟურნალისტ ბესო ჩუბინიძეს გაუნაწყენდა. ამის მიზეზი ბესო ჩუბინიძის მიერ რუსეთში გასული ქართველი მომღერლის მისამართით გაკეთებული რეპლიკა „გამორუსდა კაი ხანია“ გახდა.

გიგა კვენეტაძე:

– ბესო ჩუბინიძე, ჩემო მეგობარო, შენგან ძალიან გასაკვირია ასეთი კომენტარი, თუმცა, მუსიკალურად გამო.ლევებას „გამორუსება“ ვამჯობინე და არ დაველოდე მათხოვრულ საარჩევნო კონცერტებს და უარი ვუთხარი მუსიკას პოლიტიკურ სარჩულში, კი, ძვირფასო მეგობრებო! მე ის „გამორუსებული“ ქართველი ვარ, ვინც თქვენ გიყვართ, ვის ხელოვნებასაც აფასებთ, ვინც კიდევ ერთხელ გეუბნებათ დიდ მადლობას, რომ არ ივიწყებთ მას.

მიხეილ ზაქარიაშვილი: „რატომ უკარგავთ პატრიოტებს ქვეყნის სამსახურში ჩადგომას და ბრძოლის ჟინს“

კითხულობს კომპოზიტორი და მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი და ქართველების უცნაური ხასიათით გაკვირვებულია:

– გენერალ გიორგი მაზნიაშვილის საფლავი არც იცით სად არის, ნიკალა ფიროსმანის საფლავი არ იცით სად არის, ივანე მაჩაბელის საფლავი არ იცით სად არის, ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავი არ იცით სად არის, ილია ჭავჭავაძეს ტყვია აჭედეთ შუბლში, ვაჟა-ფშაველა მშიერი მოკალით, იაკობ გოგებაშვილის დედა ენა ამოიღეთ სწავლებიდან, მიხეილ ჯავახიშვილი დახვრიტეთ, ახმეტელი დახვრიტეთ, ექვთიმე თაყაიშვილის გასვენებაში უკანასკნელ გზაზე მხოლოდ 30 კაცამდე იყო, ტიციან ტაბიძე 37 წელს ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს. სხვა ვერსიით, გადასახლებამისჯილი პოეტი ციმბირის ტრამალზე ჩამოსვეს და თოვლიან ქარბუქში მიატოვეს. მისი საფლავი არ არსებობს. სანდრო ახმეტელი დახვრიტეს როგორც ხალხის მტერი, თქვენ კი ისევ სსრკ-ს მისტირით და ახლა თანამედროვე გმირების გასამართლებას ლამობთ.

რა ხალხი ვართ ეს ქართველები, გამაგებინეთ რა? რატომ უკარგავთ პატრიოტებს ქვეყნის სამსახურში ჩადგომას და ბრძოლის ჟინს... როდემდე უნდა ვლანძღოთ ერთმანეთი და ვხოცოთ, თუ იარაღით და თუ სიტყვით? ვერ ხედავთ, რომ მტერი ერთმანეთის ხელით გვახოცინებს ერთმანეთს და მიზანს აღწევს ჩვენი ქვეყნის განადგურების?

ლევან კბილაშვილი რუსულ ვოისს გამოეთიშა

ქართველი მომღერალი ლევან კბილაშვილი რუსულ ვოისს გამოეთიშა. მას შემდეგ, რაც ლევანის მწვრთნელმა კონსტანტინე მელაძემ თავისი კონკურსანტები ტრიოში ამღერა, გადაწყვეტილება მიიღო, ლევანი შოუს მიღმა დარჩენილიყო.

კოლეგებთან ერთად ლევანმა ცნობილი რუსული სიმღერა „აჩეროვანა, აკალდოვანა“ იმღერა. რუსული ვოისის მწვრთნელებმა ლევანის ნამღერი მოიწონეს, მისი ლამაზი ხმაც და გულწრფელი გრძნობებიც მისაღები აღმოჩნდა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება კონსტანტინე მელაძემ მიიღო და ქართველ მომღერალს დაემშვიდობა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 დეკემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.6670
- ევრო — 3.0412
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3884
- 100 რუსული რუბლი — 3.9852

ამინდის პროგნოზი 11 დეკემბრისთვის

გვენ სტეფანიმ დავით კომახიძის კაბაში იპოზიორა

49 წლის მსოფლიო ვარსკვლავმა, მომღერალმა გვენ სტეფანიმ ქართველი დიზაინერის დავით კომახიძის, იგივე დევიდ კომას კაბაში იპოზიორა.

ვარსკვლავი ჯიმი კიმელის გადაცემაში იმყოფებოდა, სადაც ქართველი დიზაინერის კაბით მივიდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც დევიდ კომას შექმნილი სამოსი მსოფლიო ვარსკვლავების გარდერობებში ხვდება.

მის მსოფლიოზე საქართველო ნია წივწივაძემ წარადგინა

ჩინეთში საერთაშორისო სილამაზის კონკურსი „მის მსოფლიო 2018“ გაიმართა. მასში სხვადასხვა ქვეყნის ლამაზმანები მონაწილეობდნენ.

გამარჯვება 26 წლის მექსიკელმა ვანესა პონსე დე ლეონმა მოიპოვა და მას მის მსოფლიოს გვირგვინი გასული წლის გამარჯვებულმა ინდოელმა ლამაზმანმა დაადგა თავზე.

კონკურსში ჩვენს ქვეყანას სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრის“ მოდელი, 24 წლის მის საქართველო ნია წივწივაძე წარადგენდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კარლო ანჩელოტი: „ლივერპულთან დაცვაში არ ჩავდგებით“

ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ლივერპულთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდი დაცვაში არ ჩადგება.

შეგახსენებთ, რომ ნაპოლის ფრეც აწყობს, ლივერპულს კი მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. ანჩელოტის თქმით, ნაპოლის შეუძლია ჯგუფიდან გასვლა.

– დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ნაპოლი დაცვაში არ ჩადგება და ჩვენ შევეცდებით ლივერპულს გოლი გავუტანოთ. პირველ შეხვედრაში ლივერპულთან ყველაფერი გამოგვივიდა და იმედი მაქვს, ახლაც ასე იქნება, – განაცხადა ანჩელოტიმ.

ლივერპულის და ნაპოლის შეხვედრა სამშაბათს, 23.45 საათზე დაიწყება.

კრიშტიანო რონალდო: „იუვენტუსში უფრო მეგობრული ატმოსფეროა, ვიდრე რეალში“

პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდომ იუვენტუსი და რეალი შეადარა და თქვა, რომ იუვენტუსში უფრო მეგობრული ატმოსფეროა.

რონალდოს თქმით, იუვენტუსი ერთი დიდი ოჯახია, ხოლო რეალი ასეთი არ იყო:

– იუვენტუსში გადმოსვლის შემდეგ ყოველდღე ვგრძნობ, რომ გუნდში ძალიან მეგობრული გარემოა და ყველა ფეხბურთელი ერთმანეთს პატივს სცემს. რეალშიც ასე იყო, თუმცა იყვნენ მოთამაშეები, ვინც თავს სხვებზე მაღლა აყენებდნენ. ძალიან მიხარია, რომ იუვენტუსში ასეთი გარემო დამხვდა.

ლუკაკუმ თავის ზედმეტ წონაზე ისაუბრა

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა რომელუ ლუკაკუმ თავის ზედმეტ წონაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ცდილობს უკეთეს ფორმაში იყოს.

ლუკაკუს თქმით, მან ბოლო პერიოდში დაიკლო და უკეთესად ათამაშდა.

– სეზონის დასაწყისში ვატყობდი, რომ ზედმეტი წონა მქონდა და ეს ხელს მიშლიდა. გადავწყვიტე, რომ ამისთვის მეტი ყურადღება მიმექცია და ახლა გაცილებით უკეთეს ფორმაში ვარ, – განაცხადა ლუკაკუმ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

რეპეტიციაზე დასარტყმელ ინსტრუმენტზე დამკვრელით უკმაყოფილო ორკესტრის დირიჟორი აცხადებს:

– თუ მუსიკოსი ვერც ერთ ინსტრუმენტზე ვერ ახერხებს დაკვრას, მას ორ ჯოხს აძლევენ და მედოლე ხდება.

ამ დროს ორკესტრიდან ჩურჩულით ნათქვამი ისმის:

– და თუ მედოლედაც არ გამოდგება, ერთ ჯოხს ართმევენ და დირიჟორი ხდება.

ანეკდოტები:

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და უფლებას გაძლევ, სიგარეტი მოწიო.

– გმადლობ, მამიკო, უკვე ორი წელია, რაც მოწევას თავი დავანებე.

●●●

მეზობელთან შესული მეორე მეზობელი მასპინძლის ბავშვის დანახვაზე გაოცებული წამოიძახებს:

– ვაიმეე, ასეთი პატარაა და უკვე გაზეთს კითხულობს?

– არა, რას ამბობთ, ჯერ მხოლოდ სამი წლისაა. უბრალოდ, კროსვორდს ავსებს.

●●●

მამამ შვილი ზოოპარკში წაიყვანა. ბავშვი ეუბნება:

– მამიკო, რა საშინელი მაიმუნი ზის იმ გალიაში!

– შვილო, მოიცა, ეს ჯერ სალაროა.

●●●

კაცმა შვილი სამმაგი ხტომის სექციაში მიიყვანა, ერთი კვირის შემდეგ გადაწყვიტა, ვარჯიშს დასწრებოდა და თავისი შვილის შედეგები ენახა.

მწვრთნელი მის შვილს უყვირის:

– ბიჭო, რით ვერ გაიგე, ეს სამმაგი ხტომაა! ს-ა-მ-მ-ა-გ-ი! 17 მეტრზე პირდაპირ კი არ უნდა გადახტე, არამედ სამი ნახტომით!

●●●

გოგო ბიჭს ეკითხება:

– გიყვარვარ?

– ძალიან!

– ჩემ გამო თავს მოიკლავ?

– კი მაგრამ, სიყვარული ხომ უკვდავია!

●●●

მასწავლებელი გიგის ეუბნება:

– რა არის, ბიჭო, რას ჰგავხარ? პირდაუბანელი, თმაგაბურძგნილი, ფრჩხილები ჭუჭყიანი... მე რომ ასე მოვიდე სკოლაში, რა იტყოდი?

– იმდენი ტაქტი კი მაქვს, რომ ამის გამო აყალმაყალი არ ამეტეხა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號：HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

რივერ პლეიტი კოპა ლიბერტადორესის გამარჯვებულია

რივერ პლეიტმა სანტიაგო ბერნაბეუზე ბოკა ხუნიორსი 3:1 დაამარცხა და კოპა ლიბერტადორესი მოიგო.

პირველი შეხვედრა ამ გუნდებს შორის 2:2 დასრულდა, მეორე მატჩი კი მადრიდში ჩატარდა, რადგან რივერ პლეიტის გულშემატკივრებმა ბოკა ხუნიორსის ავტობუსს ქვები ესროლეს და ამის გამო რივერი დაისაჯა.

მადრიდში შეკრებილმა გულშემატკივარმა შესანიშნავი სანახაობა იხილა. რივერ პლეიტს გასამარჯვებლად დამატებითი დრო დასჭირდა, რადგან ძირითად დროში შეხვედრა 1:1 დასრულდა.

გადამწყვეტი გოლი კოლუმბიელმა ხუან კინტერომ გაიტანა და თავის გუნდს ნანატრი ტიტული მოუტანა.

რივერ პლეიტმა თავის ისტორიაში ლიბერტადორესის თასი მეხუთედ მოიგო.

იოაჰიმ ლიოვს რეალის გაწვრთნა სურს

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოაჰიმ ლიოვმა განაცხადა, რომ მომავალში ის საკლუბო ფეხბურთში აპირებს დაბრუნებას.

ლიოვის თქმით, ის სიამოვნებით იმუშავებდა მადრიდის რეალში, რადგან ეს გუნდი მსოფლიოში საუკეთესოა:

– ჯერჯერობით გერმანიის ნაკრებში ვარ, მაგრამ საკლუბო ფეხბურთზე უარი არ მითქვამს. როდესაც ნაკრებიდან წავალ, მინდა, რომ რომელიმე ძლიერ გუნდში ვიმუშაო, მაგალითად, რეალში. იქ მუშაობა ნებისმიერი მწვრთნელის ოცნებაა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ყმაწვილის ხმის შეცვლა, დაბოხება ასაკის მატებასთან ერთად; 2. წითელი ზღვისპირა კურორტი ეგვიპტეში; 3. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია; 4. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 9. დაქირავებული გამყიდველი მაღაზიაში; 13. ჩინური, ლოგიკური, მაგიდის სათამაშო; 14. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 15. სასახლის სახელწოდება იტალიაში; 17. ფრანგული მინერალური წყალი; 18. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 20. მარადმწვანე წიწვოვანი ხე.

თარაზულად: 1. ატმოსფეროში მოძრავი გავარვარებული კოსმოსური სხეული; 5. სათამაშო ქაღალდი; 7. შემაგრებული და არომატიზებული ღვინო; 8. სოფელი სიღნაღის რაიონში; 10. ქალაქის თვითმმართველობა; 11. მექსიკური ჩქარტემპიანი ცეკვა; 12. ქართული ხალხური ზღაპარი; 16. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 17. შაქრით, ლიმონითა და ჩაის წვენით შეზავებული ცხელი რომი; 19. სქელი მურაბა; 21. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ბავშვის სათამაშო ბზრიალა; 23. ოპერა „სევილიელი დალაქის“ კომპოზიტორი; 24. საფრანგეთის კინოაკადემიის პრიზი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა